CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 3 სექტემბერი, 2009 წელი. №191 (2229) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## ვორონინი პრეზიდენტის პოსტს ტოვებს

A4



## "სამი სახლი" მონრეალში

A5



## პელე vs მარადონა

A6



# იგივე ინტელიგენტი

გიგა ზედანია

ცოტა ხნის წინ, რადიოში დისკუსიისას, მოწინააღმდეგე მეუბნებოდა, სტალინის ძეგლის აღება გორის მოედნიდან იგივე იქნება, რასაც სტალინი აკეთებდა, მანაც ხომ დაანგრია ქრისტე-მაცხოვრის ტაძარი მოსკოვშიო.

რამდენიმე წლის წინ გადაცემაში მიპატიჟებული სტუმარი მიმტკიცებდა, რომ რევოლუციის შემდეგ საქართველოში შადრევნების მშენებლობა სტალინიზმის ნიშანია - სტალინიც იმავეს აკეთებდა 30-იან წლებში, შადრევნებს აშენებდაო.

გაუთავებლად ისმის საუბარი იმის შესახებ, რომ საქართველოში დღეს ისეთივე შიშმა დაისადგურა, როგორსაც სტალინის დროს გრძნობდნენ. ყველაზე ჭკვიანები ამატებენ ხოლმე: სააკაშვილი ხალხს ვერ ხოცავს, როგორც 37-ში, ევროკავშირის რცხვენია, თორემ ისე, ცხადია, ჩვენში დღეს იგივე სიტუაციაა, რაც 37 წელს საბჭოთა კავშირშიო.

ვინ არიან ისინი, რომლებსაც სიტყვა "იგივე"-ს ჩვეულებრივისაგან სრულიად განსხვავებული გაგება აქვთ? ადამიანები, რომლებიც ამ აბსურდულ არგუმენტებს იგონებენ და რომლებზედაც ეს აბსურდული არგუმენტი შთაბეჭდილებას ახდენს, "ინწილიგენციას", ანუ ქართულ ინტელიგენციას ეკუთვნიან. არც ილია და არც აკაკი ინტელიგენტები არ ყოფილან. ისინი არისტოკრატები იყვნენ. ინტელიგენტი იყო ჩერნიშევსკი. რატომ? იმიტომ რომ ინტელიგენტი ყოველთვის მარგინალურია საზოგადოებაში. ჩერნიშევსკი - მარგინალი იყო რუსეთის იმპერიაში; ინტელიგენტები - მარგინალები იყვნენ საბჭოთა კავშირში. ილია და აკაკი თავიანთი ეპოქის საქართველოში მარგინალები არ ყოფილან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მოსკოვი უასიმოვნებების მოლოდინში

დიმიტრი ავალიანი

*ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოს მხარდაჭერას კიდევ ერთხელ ადასტურებს. ნატო რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას აქტიურად ცდილობს. თუმცა ეს ახალი აგრესიისთვის "მწვანე შუქს" არ ნიშნავს, - ამის ხაზგასმა ალიანსის გენერალურ მდივანს პირადად მოუხდა. იმავდროულად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, შეასაძლოა, რუსეთისათვის ხმის უფლების ჩამორთმევის საკითხი დადგეს. ამის მიზეზი რუსეთის მიერ ასამბლეის იმ რეზოლუციების შეუსრულებლობაა, რომელთა უმთავრესი მოთხოვნა სეპარატისტული რეგიონების აღიარების გაუქმებაა.*

გაგრძელება A3 გვერდზე




*ანდერს ფოგ რასმუსენი: "ნატო არასდროს მისცემს მწვანე შუქს იმ ქვეყნებს, რომლებსაც სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის დარღვევა სურთ"*

# ევროკავშირი მსოფლიოს კონფლიქტური ზონებიდან უფრო მეტ ლტოლვილს მიიღებს

მარიკა იაშვილი

ევროკომისიამ ევროპის სახელმწიფოებში ღარიბი და კონფლიქტური ქვეყნებიდან ლტოლვილთა განთავსების ახალი გეგმა გამოაქვეყნა.

კომისიის აზრით, ევროკავშირის საერთაშორისო იმიჯი მნიშვნელოვნად ზარალდება იმის გამო, რომ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები თავიანთ ტერიტორიაზე ძალიან ცოტა ლტოლვილს იღებენ.

ევროკავშირს სურს, რაც შეიძლება ბევრი გააკეთოს იმ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, რომლებიც მის ფარგლებში არ ცხოვრობენ. ორგანიზაციის მესვეურებს ასევე სურთ, დახმარება აღმოუჩინონ ღარიბ ქვეყნებს, რომლებიც იძულებულნი არიან, დევნილებზე ზრუნვის სიმძიმე თავის თავზე აიღონ.

ევროკავშირი ყოველწლიურად იღებს გადაწყვეტილებას, დევნილთა რომელ ჯგუფს უნდა მიეცეს თავშესაფარი ევოპაში ან ვის უნდა გამოუყონ თანხები საერთო ევროპული ფონდიდან, რომელიც საგანგებოდ ამ მიზნით არის შექმნილი.

ორგანიზაციის მაღალჩინოსნები იმაზეც ფიქრობენ, თუ როგორი გავლენა ექნება ლეგალური ემიგრანტების რაოდენობის ზრდას ათასობით არალეგალზე. ლაპარაკია ძირითადად აფრიკელებზე, რომლებიც ევროპაში მოხვედრას ხმელთაშუა ზღვის გავლით, სიცოცხლის ფასადაც კი ცდილობენ, თუნდაც ადამიანებით მოვაჭრეთა დახმარებით.

ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირს სურს, მსგავსი ნაბიჯის გადადგმით მსოფლიოში თავისი იმიჯი გაიუმჯობესოს. გასულ წელს ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა თავიანთ ტერიტორიაზე ლტოლვილთა საერთო რაოდენობის 7 პროცენტზე ნაკლები მიიღეს. საგულისხმოა, რომ აშშ-მ 2008 წელს თავშესაფარით 60 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი უზრუნველყო.

გაგრძელება A4 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

## მკვლელობა საქართველოს საზღვარზე

საქართველო-თურქეთის საზღვარზე, ადიგენის რაიონში, მე-2 სამმართველოს "ახალციხის" საზაფხულო პოსტზე გუშინ სამი ქართველი მესაზღვრე მოკლული იპოვეს. მოკლულები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები: ხვიჩა ბარამიძე, შოთა ასანიძე და არსენ შაინიძე.

"ახალციხის" საზაფხულო პოსტს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ოთხი თანამშრომელი იცავდა. გუშინ დილით, სამი მათგანი, საძილე ტომრებში, ავტომატის ჯერით ჩაცხრილურები ნახეს. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა იხსენებს, მათ გამთენიისას ოცზე მეტი გასროლის ხმა გაიგეს.

შემთხვევის ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები მივიდნენ. საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების შემდეგ სამართალდამცველებმა იმ მეოთხე მესაზღვრის ძებნა დაიწყეს, რომელიც გარდაცვლილებთან ერთად მორიგეობდა. ცოტა ხანში ადიგენის რაიონში დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი 27 წლის ლევან გიორგის ძე გაბაშვილი.

მკვლელობის ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით არ სახელდება, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, პოლიცია მკვლელობის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, მათ შორისაა შურისძიებაც, რადგან მესაზღვრეები საძილე ტომრებში იყვნენ ჩაცხრილულები.

სავარაუდოდ, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ დასაძინებლად დაწოლილი სამივე ჯარისკაცი გაბაშვილმა სასიკვდილოდ დაჭრა და შემდეგ მიიმალა.

დაღუპულების ცხედრები ახალციხის პროზექტურაში გადაასვენეს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რუსულმა მედიამ გუშინ დილითვე გაავრცელა დეზინფორმაცია და ჯარისკაცების მკვლელობის მიზეზად ქართველ და სომეხ მესაზღვრეებს შორის დაპირისპირება დაასახელა. ამის გამო ოფიციალური განცხადების გაკეთება მოუწია სომხურ მხარესაც. სომხეთის ეროვნული უშიშროების სამსახურის პრესსამსახურის ინფორმაციით, "საქართველო-სომხეთის საზღვარზე სროლების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და საზღვარზე მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა."

მამუკა არეშიძის ინფორმაციით, ქართველი სამხედროები არა საქართველო-სომხეთის საზღვართან, არამედ სოფელ უდესთან მოკლეს, რომელიც თურქეთს ესაზღვრება.

"ჩემი ინფორმაციით, ეს მკვლელობა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა. რა შუაშია აქ სომხეთი. რა ინტერესით ავრცელებენ ამ ინფორმაციას რუსული საინფორმაციო სააგენტოები, შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ. თუმცა ტერიტორია, რომელზეც მკვლელობა მოხდა, სომხეთს ნამდვილად არ ესაზღვრება," - განმარტა არეშიძემ.

*საკუთარი ინფორმაცია*

## საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის განვითარებაში ნორვეგიელი პარტნიორები ჩაერთვებიან

საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის განვითარებაში ნორვეგიელი პარტნიორები ჩაერთვებიან. ეს საკითხი გუშინ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარისა და ნორვეგიის ტრომსოს უნივერსიტეტის პროფესორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო მიმართულების ხელმძღვანელ ტორალფ ჰასფოლის, ასევე ამავე უნივერსიტეტის მაგისტრანტების შეხვედრისას გადაწყდა. შეხვედრაზე ძირითადი ყურადღება საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის განვითარებას და ამ პროცესში ნორვეგიელი პარტნიორების ჩართვას დაეთმო. პროფესორი ტორალფ ჰასფოლდი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს ლექციებსაც უკითხავდა. ახლანდელი მისი სტუმრობა საქმიანი ვიზიტია და იგი მიზნად ისახავს ორი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს შორის კავშირების გაღრმავებას. ნორვეგიელი სტუმრები ეცნობიან როგორც საგანმანათლებლო სისტემას, ასევე ჯანდაცვის სფეროში არსებულ მდგომარეობას. როგორც ოთარ თოიძემ განაცხადა, კომიტეტი ამ საშემოდგომო სესიიდან ინტენსიურად დაიწყებს მუშაობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის საკანონმდებლო და სარეგულაციო ბაზის შესაქმნელად. ამ მიზნით დაგეგმილია კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო-სამუშაო ჯგუფის შექმნა. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მიღება კომიტეტის თავმჯდომარემ სტუმრებსაც შესთავაზა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მათ მიერ მიღებული გამოცდილების გაზიარება სთხოვა. სტუმარმა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ აამოქმედებენ სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების პროექტს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ბაჩო ახალაია ყოველთვის წარმატებული იყო"

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის აზრით, თავდაცვის ახალი მინისტრი ბაჩო ახალაია "წინა თანამდებობებზე ყოველთვის წარმატებული იყო." მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყებამდე პრემიერი განსაკუთრებულად მიესალმა და ახალ პოსტზე წარმატებები უსურვა ახალაიას, რომელიც თავდაცვის მინისტრის რანგში სხდომას პირველად დაესწრო. ამასთან, გილაურმა აღნიშნა, რომ "ბაჩო ახალაიამ საკმაოდ რთული სამინისტრო ჩაიბარა." საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ბაჩო ახალაიამ დავით სიხარულიძე შეცვალა, რომელიც საგარეო საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლად დაინიშნა. **პირველი**

# მიხეილ სააკაშვილმა სასტუმრო "რედისონ სას ივერია" გახსნა

დაპირების შესრულების კიდევ ერთი დღე უწოდა მიხეილ სააკაშვილმა სასტუმრო "რედისონ სას ივერიის" გახსნის გუშინდელ ცერემონიალს. **"მნიშვნელოვანი დღეა გარკვეულწილად ჩვენი დანაპირების შესრულებისა. იმ ადგილზე, რომელიც ნგრევის, გაჩანაგების, უმომავლობის სიმბოლო იყო, ახალ საქართველოზე ორიენტირებული სასტუმრო აშენდა,"** - განაცხადა პრეზიდენტმა. გუშინ მან ახლო წარსული გაიხსენა: **"ივერიაში" არ იყო დარჩენილი არც ერთი ფანჯარა, იქ ადამიანებზე მეტი კომფორტი ვირთხებს ჰქონდათ და ამ შენობაში აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობდნენ. შევარდნაძის მთავრობამ ქვეყნის მაშინდელი ბიუჯეტის 10 პროცენტით 16 მილიონ ლარად ღირებული დავით აღმაშენებლის ძეგლი დადგა, რომელსაც გარკვეული ნაწილები სასტუმროსკენ, დევნილებისკენ ჰქონდა მიქცეული,"** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში გასულ წელს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებაც ისაუბრა: **"საქართველოში შემოვიდა 200 ათასზე მეტი ჯავშანტექნიკა, გვბომბავდნენ თვითმფრინავები, მაგრამ თბილისზე იერიშის მოტანა ვერ შეძლეს. არადა, ჰქონდათ განზრახვა, რომ ეკონომიკა ჩამოშლილიყო, ხალხი დამშეულიყო. აგვისტოს მოვლენებს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაემატა. ძალიან ბევრ მდიდარ ქვეყანაში მშენებლობები შეჩერდა. ომგამოვლილ საქართველოში კი მშენებლობა და აღმშენებლობა გრძელდება და ჩვენ ამას ბოლომდე მივიყვანთ,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მან სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. **"როდესაც ერთი წლის წინათ ვთქვი, რომ ბათუმს ბარსელონად და დუბაიდ ვაქცევდი, ბევრს ეს მხოლოდ სიტყვები ეგონა, მაგრამ ახლა დაიჯერეს".** გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა თავისი დაპირებების ჩამოთვალა - სიღნაღი, მცხეთა, თბილისი, მესტიისკენ მიმავალი სამანქანო გზა, საქართველოს გზების, ინფრასტრუქტურის განვითარება. "მესტიის სიღნაღიზაცია მოხდება," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა: "საქართველო ჯერ ბოლომდე არ გამოსულა კრიზისიდან. ბევრი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი. საქართველო წინ მიდის და აღმშენებლობა ბოლომდე მივა. მაქვს ამბიცია, რომ ყველაფერი ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადაში დავასრულო. როგორც დაგპირდით და გავაკეთეთ, ისე გავაკეთებთ ყველაფერს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

რაც შეეხება სასტუმრო "რედისონ სას ივერიის" სასტუმროს, მენეჯმენტის ინფორმაციით, პირველი კვირის მანძილზე სტუმრებს წამახალისებელ ფასდაკლებას შესთავაზებენ, რომლის ფარგლებშიც ორადგილიანი ნომერი, იტალიური საუზმით, სადილითა და კოქტეილით, 240 დოლარი ეღირება. წამახალისებელი აქციის შემდეგ კი სასტუმროში ნომერი 280-დან 700 დოლარამდე ეღირება. "რედისონის" მშენებლობაში ქართულმა კომპანიამ "სილქროუდ ჯგუფმა" 90 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. მშენებლობას კომპანია "დეველოპმენთ სოლუშენი" ახორციელებდა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ბაგაფშის მუქარა

*აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ქართული მცურავი საშუალებების განადგურებით იმუქრება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ოკუპირებული აფხაზეთის საზღვაო აკვატორიის დაცვაში ოფიციალურად აპირებს მონაწილეობის მიღებას, სერგეი ბაგაფშის თქმით, აფხაზეთი საკუთარი ძალებით გაუმკლავდება ქართულ გემებსა და კატარღებს. ხოლო, ქართული მხარის მტკიცებით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომხდარ ნებისმიერი ინციდენტზე პასუხისმგებლობა მხოლოდ რუსეთის ფედერაციას ეკისრება.*

დათო გამისონია

"აპსნიპრესის" ინფორმაციით, გუშინ სერგეი ბაგაფშმა აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს ქართული გემებისთვის ცეცხლის გახსნა უბრძანა. მან მიღებული გადაწყვეტილების მიზეზებიც განმარტა: **"როგორც იცით, საქართველო აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში მეკობრეობას განაგრძობს. ისინი ჩვენი ქვეყნისკენ მომავალ, ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთულ გემებს აკავებენ. თუ საქართველო არ შეწყვეტს მეკობრეობას, ჩვენ ადეკვატურ ზომებს მივიღებთ."** მისი თქმით, ქვეყანა, რომელიც სომალელი მეკობრეების მსგავსად მოქმედებს, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. სერგეი ბაგაფშმა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში რუსული სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობა გამორიცხა. **"მინდა აღვნიშნო, რომ საუბარია მხოლოდ აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამოყენებაზე,"** - განაცხადა მან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 29 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ევგენი ინჩინმა განაცხადა, რომ აფხაზეთში მიმავალ გემებს რუსი და აფხაზი მესაზღვრეები ერთობლივად დაიცავენ. **"უახლოეს ხანებში რუსეთის კატარღები უზრუნველყოფენ გემების ხელშეუხებლობას აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში,"** - აღნიშნა იჩინმა. მისი პოზიცია მისაღებია აფხაზეთის მარიონეტული უშიშროების სამსახურის სასაზღვრო რაზმის უფროს ზურაბ მარღანიასთვის. თუმცა, მარღანია მზად არის, ბაგაფშისგან ბრძანების მიღების შემდეგ მხოლოდ აფხაზეთის ძალებით შეასრულოს ე.წ პრეზიდენტის მოთხოვნა. მან მარიონეტული ხელისუფლების შესაძლებლობებზე გაამახვილა ყურადღება. **"აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს ყველა საშუალება გააჩნიათ, რათა შავ ზღვაში ქართული ხომალდების მეკობრული ქმედებები აღკვეთონ. ზღვაზე ჩვენი ფლოტი ჯერ კიდევ 1992-1993 წლებში მიმდინარე ქართულ-აფხაზური ომის დროს დომინირებდა. ამ დროის განმავლობაში კი რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების შესაძლებლობები ძალიან გაიზარდა,"** - განაცხადა მარღანიამ.

სერგეი ბაგაფშის განცხადების შემდეგ "24 საათთან" კომენტარი გააკეთა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა. მისი თქმით, **"აფხაზეთი არის საქართველოს ტერიტორია. შესაბამისად, აფხაზეთის აკვატორია არის საქართველოს აკვატორია, სადაც ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო საზღვაო მიმოსვლის შესახებ კანონმდებლობა, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე აფხაზეთის პორტებში შესვლა უკანონოა, ისევე როგორც აეროპორტებში ფრენა. ნებისმიერი ქვეყნის იურიდიული პირის მიმართ, რომელიც კანონს დაარღვევს, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ავამოქმედებთ კანონებით დადგენილ სანქციებს."** რაც შეეხება ბაგაფშის წინადადებას საზღვაო აკვატორიის დამოუკიდებლად დაცვის შესახებ, კანდელაკის თქმით, ნებისმიერ შესაძლო ინციდენტზე პასუხისმგებლობა მთლიანად რუსეთის ფედერაციას ეკისრება. **"საერთაშორისო სამართალში თუკი არსებობს კრიტერიუმი, რა არის ოკუპაცია, აფხაზეთში არსებული ვითარება ნამდვილად აკმაყოფილებს ყველა ამ კრიტერიუმს. შესაბამისად, ჰააგის 1907 წლის კონვენციის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე იურიდიული პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციის მხარეს ეკისრება,"** - აღნიშნა მან. კანდელაკის განმარტებით, **"კრიმინალური რეჟიმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ნეიტრალურ წყლებში ჩავძირავთ საქართველოსკენ მიმავალ გემებს. თუკი რუსეთის მხარე ასეთ ავანტიურაზე წავა (ამ შემთხვევაში მარიონეტული ხელისუფლების ლიდერის განცხადებას სერიოზულად არ აღვიქვამ), მთლიანად რუსეთის სახელმწიფო გადაიქცევა საერთაშორისო მეკობრედ. მე ვფიქრობ, ეს სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობისთვის."** თუმცა, კანდელაკი აქვე ამბობს: **"არა მგონია, ბაგაფშის ბრძანება ახალი დაპირისირების საფუძველი გახდეს. ამ შემთხვევაზე შეიძლება ითქვას, რომ კუმ ფეხი გამოყო,"** - განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

ბაგაფშის განცხადების შემდეგ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ სპეციალური განცხადება გაავრცელა; **"მისია მოუწოდებს ყველა მხარეს - საქართველოს ხელისუფლებას, რუს სამხედროებსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, რომ თავიდან აიცილონ ყოველგვარი პროვოკაცია. ევროკავშირის მისია შეშფოთებულია სერგეი ბაგაფშის განცხადებით ქართული გემების განადგურებისა ან დაკავების შესახებ."** მასში, ასევე ნათქვამია, რომ აღნიშნული განცხადებები ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. გარდა ამისა, მისია მხარეებს სთხოვს, ყველა ეს სადავო საკითხი გალის შეხვედრაზე განიხილონ. ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე შემდგარი კომისია 8 სექტემბერს გალში კიდევ ერთხელ შეიკრიბება.

# ერგნეთის შეხვედრის დაწყებამდე

*დღეს, სოფელ ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შემუშავების ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართება. ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის და ქართული მხარეები დაკავებული მოქალაქეების გათავისუფლების საკითხს დაუყენებენ ერთმანეთს.*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა გუშინ განაცხადა, რომ ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს ჯერ კიდევ არ გაუთავისუფლებია 31 აგვისტოს დაკავებული საქართველოს 6 მოქალაქე. ისინი კონტრაბანდის ბრალდებით დააპატიმრეს. მათ ახალგორის რაიონიდან ძვირფასი ხის მასალის უკანონოდ გატანა ედებათ ბრალად. **"დაკავებულები, სავარაუდოდ, ცხინვალში ჰყავთ. ეს ადამიანები ლამისყანისა და ახმაჯის მცხოვრებლები არიან. ჯერ სხვა დეტალები უცნობია და ვითარებაში გარკვევას ვცდილობთ,"** - აღნიშნა უტიაშვილმა. მან დასძინა, რომ დაკავებული ქართველების გათავისუფლების საკითხს ქართული მხარე ერგნეთში დანიშნულ შეხვედრაზე დააყენებს.

თუმცა, ცხინვალის მარიონეტული ხელისუფლება ქართულ მხარეს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს. ისინი საზღვრის დარღვევის ბრალდებით რუსეთის ორი მოქალაქის დაკავებას აპროტესტებენ. პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში მარიონეტი პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილემ მერაბ ჩიგოევმა განაცხადა, რომ **"საქართველოში რუსეთის ორი მოქალაქე იმყოფება, რომლებიც ქართულმა სპეცსამსახურებმა თითქოსდა სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ბრალდებით დააკავეს და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მიმაჩნია, რომ ეს უსამართლობაა. ჩვენ ვაპირებთ, ეს საკითხი ერგნეთში სამუშაო ჯგუფის შემდეგ შეხვედრაზე დავაყენოთ."** ჩიგოევის თქმით, თუ საქართველო რუსეთის მოქალაქეების გათავისუფლებისთვის ზომებს არ მიიღებს, მაშინ ცხინვალი იძულებული გახდება, საზღვრის დამრღვევი საქართველოს მოქალაქეების მიმართ ადეკვატური ზომები გამოიყენოს.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# იგივე ინტელიგენტი

პირველი გვერდიდან

"ინწილიგენტები" დღევანდელ საქართველოში - ეს 40-50 წლის ასაკის ადამიანების ის ნაწილია, რომელიც აღიზარდა ამ მარგინალური როლისათვის. მათი ახალგაზრდობის სამყარო ნათლად იყო გაყოფილი: ერთ მხარეს ძალაუფლების მქონე ცუდი ადამიანები, მეორე მხარეს კი - მარგინალი პატიოსანი ხალხი. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მათ საბაზისო მატერიალურ მოთხოვნილებებზე ზრუნვა არ ჭირდებოდათ, ხოლო რბილი ტოტალიტარიზმის (70-იანი და 80-იანი წლები) პირობებში მორალურ კომფორტს გრძნობდნენ, ეს მდგომარეობა, მათი შეგრძნებით, არცთუ ისე შორს იყო იდეალურისგან - განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებით 90-იანი წლების კატასტროფულ ნგრევას, ცხოვრების პირობების გაუარესებასა და სტატუსის კარგვას. მაგრამ 90-იანებშიც ისინი ინარჩუნებენ მორალურ უპირატესობას: ამ პერიოდშიც, ძალაუფლების მქონე ადამიანები უზნეონი არიან, ხოლო თვითონ - სულიერების ერთადერთი მატარებლები.

სიტუაცია იცვლება ნოემბრის რევოლუციის შემდეგ. ჯერ მოდის მისიონერული ცნობიერებით აღვსილი ხელისუფლება, რომელიც პრეტენზიას აცხადებს საზოგადოების ავანგარდში ყოფნაზე. რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მისიონერული ცნობიერება ნელდება და ხდება სიტუაციის ნორმალიზაცია: როგორც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, საქართველოშიც სახეზეა ხელისუფლება, რომელსაც აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები; ხელისუფლება, რომლის შიგნითაც არიან როგორც პატიოსანი პროფესიონალები, ისე - საეჭვო მორალისა და კომპეტენციის მქონე კარიერისტები; ხელისუფლების მხარდამჭერები, რომელთა შორისაც მოიძებნებიან როგორც ინტელექტუალები, ისე - "ბრბოს ადამიანები".

ესაა "ინწილიგენციის" ნამდვილი განსაცდელი - არა უშუქობა, არა უწყლობა, არა მხედრიონი, არა სამეგრელოს აწიოკება, არა აფხაზეთის ომი. არა, განსაცდელია განცდა იმისა, რომ სამყაროს შესახებ მათი წარმოდგენა დარჩა, მაგრამ სამყარო შეიცვალა და, როგორც ვიღაცეები ბედავენ და ამტკიცებენ, უკეთესობისკენ. "ინწილიგენტებს" წარმოდგენა არ აქვთ, როგორ უნდა იყოს მოწყობილი თანამედროვე საზოგადოება - მათ ხომ ცალი თვალითაც არ ჩაუჭყიტავთ ჰობსისა და ლოკის ტექსტებში. "ინწილიგენტები" "დასტაევსკიზე" არიან "გაზრდილები" (რაც საქართველოში იმას ნიშნავს, რომ ათიდან ერთს მართლაც აქვს წაკითხული "იდიოტი", ხოლო დანარჩენი ცხრა "დეგენერატს" ვერ გასცდა). ჰოდა, რა ასოციაციები გაუჩნდებათ მათ ხელისუფლებასა და ახალ საზოგადოებაზე, რომლებიც არ მოსწონთ? სწორედ ის ასოციაციები, რომლებთანაც მათი ღირებულებებისა და წარმოდგენების წარმოშობაა დაკავშირებული: საბჭოთა კავშირი, სტალინიზმი, 37 წელი, ტერორი და ა. შ. ზოგიერთები თავიანთ სასოწარკვეთილებაში ისე შორსაც კი წავიდნენ, რომ ზღაპრების კატეგორიებით დაიწყეს აზროვნება - სააკაშვილის ხელისუფლებას განიხილავენ ბოროტების საუფლოდ და ელიან ჯადოსნურ გმირს, რომელიც სულ სიმღერა-სიმღერით დაანგრევს არსებულ სისტემას.

პრობლემა კი ისაა, რომ ამ "ინწილიგენტთა" თაობას სურს დღეს მორალური დისკურსის მითვისება. მორალის ქადაგება მეტს დღეს არავის აინტერესებს: დასავლეთში ამ ფუნქციას ეკლესია ასრულებს, მაგრამ საქართველოში ეკლესია მარხვის რეგულირებითაა დაკავებული. მორალის ქადაგების სურვილი არც ახალ თაობას აქვს - თუ მაინცდამაინც კრიტიკა მოუნდება, ის უკვე ადამიანის უფლებების ენაზე საუბრობს - ხან სწორად, ხშირად - შეცდომებით, მაგრამ ეს უკვე სხვა ენაა. რასაკვირველია, უფროს თაობასაც, რომელიც იმდენად წვრილფეხა "ინწილიგენტებით" კი არაა დაკომპლექტებული, რამდენადაც საბჭოთა ნომენკლატურის წარმომადგენლებით, სურს მორალის ენაზე საუბარი, მაგრამ უკვე აღარ შეუძლია. თუ გინახავთ კლიპი "ღირსეულია, ვინც ... იცავს", რომელიც კარგა ხანი გადიოდა "მაესტროზე", შეუძლებელია, თვალში არ მოგხვედროდათ ერთი გარემოება - ქართული კულტურის წარმომადგენელთა უმრავლესობას, რომლებიც ამ კლიპში "დაცვას" მოგვიწოდებდნენ, ფიზიკურად აღარ შეუძლიათ ლაპარაკი. ეს მხცოვანთა თაობაა, რომელსაც მოქმედების სურვილი კი შერჩა, მაგრამ ენერგია და ძალა - უკვე აღარ. ჰოდა, სწორედ ამ დროს ასპარეზზე გამოდის "ინწილიგენცია", რომელსაც ბევრი არაფერი შეუქმნია, მაგრამ რომელიც საკუთარ თავს აღიქვამს ქვეყნის პატიოსნებად.

ოღონდ ერთია: მიუხედავად ამ ქადაგებებისა, ამ ადამიანებს არც განსაკუთრებული ინტელექტუალური შესაძლებლობებისა ეტყობათ რამე და არც - გამორჩეული მორალური კომპეტენციებისა. მათი ღირებულებები და იდეები საბჭოთა კავშირში წარმოიშვა და არანაირი რელევანტობა დემოკრატიულ საზოგადოებაში არ აქვთ. ამიტომ საქართველოს ნორმალიზაციის ერთი კრიტერიუმი იქნება "ინწილიგენტურობის", როგორც ღირებულებათა და წარმოდგენათა ერთობლიობის, ბოლო ნარჩენების გაქრობა.

# მოსკოვი უასიმოვნებების მოლოდინში

პირველი გვერდიდან

**"ნატო არასდროს მისცემს მწვანე შუქს იმ ქვეყნებს, რომლებსაც სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის დარღვევა სურთ,"** - ეს განცხადება ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა უკრაინელი ჟურნალისტების შეკითხვის საპასუხოდ გააკეთა; შეკითხვა კი ასე ჟღერდა: ნიშნავს თუ არა ნატო-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესება "მწვანე შუქს" რუსეთისათვის ყირიმში მოქმედებისთვის.

რასმუსენმა ასევე აღნიშნა, რომ ნატო დაეხმარება საქართველოსა და უკრაინას შეიარაღებული ძალების განვითარებაში მათი ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მისი თქმით, ალიანსის ეს მიდგომა არ შეცვლილა.

იმავდრულად, ალიანსის გენერალურმა მდივანმა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას პრიორიტეტული უწოდა. მისი თქმით, მოსკოვთან თანამშრომლობა შესაძლებელია ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბრძოლა ტერორიზმთან, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა და ალიანსის ოპერაცია ავღანეთში.

მანამდე ალიანსის გენერალურმა მდივანმა დადებითად შეაფასა ამერიკელი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის იდეა ნატო-სა და პრორუსულ კოლექტიური უსაფრხოების ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმების გაფორმების შესახებ.

ანდერს ფოგ რასმუსენმა ასევე დადებითად შეაფასა შეხვედრა ნატო-ში რუსეთის ელჩ დმიტრი როგოზინთან და აღნიშნა, რომ რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შეხვედრებს ელის. პირველი ასეთი მოლაპარაკება ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის ფარგლებში, რასმუსენსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შორის შედგება.

ნატო-ს "ფრონტზე" ერთგვარ დათბობასთან ერთად, რუსეთმა შესაძლოა მტკივნეული დარტყმა ევროპის საბჭოსგან მიიღოს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასაბლეის სესიაზე, რომელიც სტრასბურგში 28 სექტემბერს გაისხნება, შესაძლოა, რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის საკითხი განიხილონ, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხზე მიღებული რეზოლუციების შეუსრულებლობის გამო.

როგორც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ლეონიდ სლუცკიმ განაცხადა, ქართულმა დალეგაციამ ასამბლეის წევრებს შორის ამისთვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობა უკვე შეაგროვა. თუმცა, სლუცკის იმედი აქვს, რომ ევროპელი დეპუტატების უმრავლესობა ამ წინადადებას მხარს არ დაუჭერს.

ამავე დროს, ის აღიარებს, რომ ამ საკითხის განხილვა **"საკმაოდ მასშტაბური და უსიამოვნო იქნება, რადგან ეს ევროპის საბჭოში რუსეთის იმიჯის შელახვის მცდელობაა".**

7 სექტემბერს პარიზში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიურო შეიკრიბება, რომელიც საშემოდგომო სესიის დღის წესრიგს მოამზადებს. 9 სექტემბერს კი ასამბლეის მონიტორინგის კომისია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თაობაზე იმსჯელებს.

**"ჩვენ არ ველოდებით, რომ კომისია და ასამბლეა ჩვენს პოზიციას გაიაიზრებს,"** - აღიარა რუსმა დეპუტატმა და ისიც აღნიშნა, რომ რუსეთის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა აისახება მონიტორინგის კომისიის ანგარიშშიც, რომელიც იანვარში გამოქვეყნდება.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხზე ორი რეზოლუცია მიიღო - 2008 წლის იქტომბერში და 2009 წლის თებერვალში. ამ დოკუმენტებით რუსეთს კატეგორიულად მოეთხოვა გააუქმოს გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამუკიდებლობის ცნობის შესახებ, შეასრულოს სამშვიდობო შეთანხმებით საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებები და უზრუნველყოს დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის ულებების დაცვა.

ასამბილეის მომხსენებლების - მათიას ეორშისა და ლუკ ვან დერ ბრანდეს მოხსენებებში რეზოლუციების შესრულების შესახებ, არერთხელ აღინიშნა, რომ რუსეთი ამ დოკუმენტების პირობების უდიდეს ნაწილს იგნორირებას უწევს.

შესაბამისად, დღის წესრიგში რუსეთის ქმედებებზე რეაგირების საკითხი დადგა, თუმცა წინა სესიებზე ევროპელი დეპუტატები მზად არ იყვნენ რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვტილება მისაღებად, მიუხედავად იმისა, რომ რუსი დეპუტატები დაუფარავად აცხადებდნენ - რუსეთი რეზოლუციების პირობებს არასოდეს შეასრულებს.

## საქართველოს რკინიგზამ აგვისტოში სამგზავრო ბილეთების რეალიზაციიდან რეკორდული შემოსავალი მიიღო

2009 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონი საქართველოს რკინიგზისთვის წარმატებით მიმდინარეობს. წინასწარი მონაცემებით, ა.წ აგვისტოში სამგზავრო ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 მლნ 367 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს რკინიგზის არსებობის მანძილზე მიღწეული აბსოლუტური რეკორდია. მით უმეტეს, უკანასკნელი 4 წლის მანძილზე რკინიგზით მგზავრობის ღირებულება არ გაზრდილა, პირიქით - რიგ საგარეუბნო მატარებლებზე შემცირდა კიდეც. მატარებლით მგზავრობაზე მოთხოვნის გაზრდა მგზავრის მოთხოვნებზე ორიენტირებულობისა და გაუმჯობესებული სერვისის შეთავაზების შედეგია. თბილისი-მახინჯაურის მიმართულებით ყოველდღიურად სამი სამგზავრო მატარებელი მოძრაობს, რომელშიც ჩართულია ყველა კლასის ვაგონი და ფასი მოსახლეობის ყველა კატეგორიისთვის ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, გაიხსნა 31 დამატებითი საბილეთო სალარო თბილისში, მახინჯაურში, ქობულეთსა და ურეკში. ასევე, ბილეთების კომპიუტერული ქსელით რეალიზაციის სისტემის საშუალებით შეუფერხებლად შეიძლება მგზავრობამდე ხუთი დღით ადრე პერიოდში ბილეთების შეძენა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ 67 სალაროში. გარდა ამისა, დამსვენებლებს სამგზავრო ბილეთებით უზრუნველყოფს 14 ტურისტული სააგენტოს 17 საბილეთო სალარო თბილისში, ბათუმსა და ფოთში. წარმატებით იმუშავა და ძალზე პოპულარულია ტელეფონით ბილეთების დაჯავშნის სისტემა. მოსახლეობას გამგზავრებამდე 15 დღით ადრე შეუძლია ადგილების დაჯავშნა ნომერზე 56-34-34. რეზერვირების ოპერატორები დღეში, საშუალოდ, 500-ზე მეტ ზარს იღებენ. გაუმჯობესდა საგარეუბნო მატარებლების მუშაობა, რამაც შესაძლებელი გახადა მგზავრობა პრაქტიკულად დღის ნებისმიერ პერიოდში. მარკეტინგული კვლევების საფუძველზე, "საქართველოს რკინიგზა" კვლავაც შემოგთავაზებთ გაუმჯობესებულ სერვისს, სადაც მგზავრთა სურვილები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კობა სუბელიანმა გარდაბანში ჩასახლებული დევნილები მოინახულა

გუშინ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა გარდაბანში, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაში ახლახანს ჩასახლებული დევნილები მოინახულა და დასრულებული სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა. ობიექტის სრული რეაბილიტაციის შემდეგ დევნილთათვის გამოყოფილ შენობაში წყალგაყვანილობის, გაზმომარაგების და საკანალიზაციო სისტემები გაიმართა. ჩატარდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, აშენდა სპორტული მოედანი. თითოეულ ოჯახს დაუმონტაჟდა გაზის გამათბობელი, აგრეთვე გაზისა და დენის ინდივიდუალური მრიცხველები. ობიექტზე სამინისტრომ აფხაზეთიდან დევნილი 20 ოჯახი შეასახლა. აღნიშული შენობა დევნილებს კერძო საკუთრებაში გადაეცემათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ის, რომ საქართველო გეოგრაფიულად რუსეთის გვერდით იმყოფება, ქვეყნის ტკივილია"

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ის, რომ საქართველო გეოგრაფიულად რუსეთის გვერდით იმყოფება, ქვეყნის ტკივილია. ასეთი შეფასება ვაშაძემ ექსპერტების მიერ გამოცემული წიგნის "ჩვენი საერთო ტკივილი" კომენტირებისას გააკეთა. წიგნი ცოტა ხნის წინ გამოიცა და მისი ერთ-ერთი ავტორია რუსი ექსპერტი ილარიონოვი. "წიგნი არ მაინტერესებს, ჩვენ რუსეთთან საერთო ტკივილი არ გვაქვს. საქართველოს ტკივილია ოკუპირებული ტერიტორიები და ის, რომ, სამწუხაროდ, გეოგრაფიულად რუსეთის გვერდზე ვიმყოფებით," - განუცხადა ვაშაძემ ჟურნალისტებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზი სეპარატისტები ვენესუელას, კუბას, ბოლივიასა და ნიკარაგუას მოინახულებენ

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. ოფიციალური დელეგაცია ლათინური ამერიკის ქვეყნებს მოინახულებს. მათივე ინფორმაციით, დელეგაცია ეწვევა ვენესუელას, კუბას, ბოლივიასა და ნიკარაგუას. სეპარატისტთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან: აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატი სონერ გოგუა; ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაქსიმ ღვინჯია; ამავე უწყების ოქმების განყოფილების გამგე ასიდა ინაპშბა და ამავე უწყების საინფორმაციო განყოფილების უფროსი ირაკლი ტუჟბა. აფხაზური მხარე ასევე იუწყება, რომ დელეგაცია თავის ვიზიტს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასის მონახულებით დაიწყებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით მონტენეგროში გაემგზავრა

ვიცე-პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძე გუშინ სამუშაო ვიზიტით მონტენეგროში გაემგზავრა. როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატში განაცხადეს, ვიზიტის ფარგლებში გიორგი ბარამიძე შეხვედრებს მონტენეგროს პრემიერ-მინისტრთან, ვიცე პრემიერ-მინისტრთან ევროპული ინტეგრაციის საკითხებში და თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებთან გამართავს, ასევე შეხვდება პრესისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს. შეხვედრებზე მონტენეგროს შესაბამის სტრუქტურებთან ორმხრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების საკითხები, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი, რუსეთის აგრესიის შედეგები და ქვეყნის დეოკუპაციის მიზნით საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის თემები, აგრეთვე ინვესტორების მოზიდვის პერსპექტივები განიხილება. **პირველი**

# ევროკავშირი მსოფლიოს კონფლიქტური ზონებიდან უფრო მეტ ლტოლვილს მიიღებს

პირველი გვერდიდან

**"რეალურად 27-დან მხოლოდ 10-მა ქვეყანამ შექმნა ლტოლვილთა დასახლების საგანგებო პროგრამა,"** - აღიარებს ლტოლვილთა საკითხებში გაერო-ს უმაღლესი კომისრის წარმომადგენელი ბრიუსელში ჟილ ვან მიურტელი. **"იმედი გვაქვს, რომ ევროკავშირის ლტოლვილთა მიღების ერთობლივი პროგრამა, რომელიც თავდაპირველად ერაყელებს შეეხება, საქმის ვითარებას შეცვლის. გაერო-ს ლტოლვილთა საქმის კომისარიატი დიდი ხანია გამოდის ევროპაში დევნილთა უფრო დიდი რაოდენობით მიღების მოთხოვნით. ეს განსაკუთრებით ერაყელებს ეხებათ,"** - აცხადებს იგი. ბელგია ევროკავშირის ერთი ქვეყანაა, რომელმაც თავის ტერიტორიაზე ერაყელები შეუშვა. 36 ერაყელი ბრიუსელში სირიიდან და იორდანიიდან უახლოეს დღეებში ჩავა, კიდევ 11 - სექტემბრის მეორე ნახევარში. მათ შორის არის 16 წლის გოგონაც, რომელიც ამერიკელი სამხედროებისთვის თარჯიმნად მუშაობდა.

ამ ერაყული ოჯახებისთვის ევროპაში ახალი ცხოვრება იწყება, თუმცა რამდენიმე ათასი ერაყელის მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

# ვორონინი პრეზიდენტის პოსტს ტოვებს

## თუმცა "კომუნისტებს" ოპოზიციონერობა არ სურთ

ივა შილაკაძე

მოლდოვის პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. მისი განცხადება სავსე იყო პათეტიკითა და რევანშის შესახებ შეფარული მუქარით. ვორონინი ამბობს, რომ **"მე, როგორც პარტიის თავმჯდომარე, სამშობლოსთვის და პარტიისთვის ასეთ კრიტიკულ მომენტში არ ვაპირებ, მსგავს საეჭვო და ორაზროვან მდომარეობაში მხოლოდ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დავრჩე. მე არ მაქვს არც ზნეობრივი და არც პოლიტიკური საფუძველი, რომ ფორმალურად შევასრულო ეს მაღალი სახელმწიფოებრივი ფუნქცია."** ვორონინის თქმით, იგი პარლამენტში რიგით დეპუტატად ბრუნდება და საკუთარ პარტიასთან ერთად იბრძოლებს პოზიციების დასაცავად. მანვე დაურთო, რომ იგი პრინციპულად არ ეთანხმება ახალი სახელისუფლებო კოალიციის "ალიანსი ევროპული ინტეგრაციისათვის" პოლიტიკას და მას მკაცრ ოპონირებას გაუწევს. გარდა ამისა, "კომუნისტებმა" განაცხადეს, რომ ახალი პრეზიდენტის კანდიდატურის შესარჩევად კოალიციასთან დიალოგს არ აპირებენ. ეს ნიშნავს, რომ ცოტა ხანში ისევ უნდა დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.

ვლადიმირ ვორონინმა თავისი მეორე და ბოლო საპრეზიდენტო ვადა გაზაფხულზე დაამთავრა. კონსტიტუციით მას ამ პოსტზე დარჩენის უფლება არ აქვს, მაგრამ ის დღემდე რჩებოდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად, რადგან გაზაფხულზე არჩეულმა პარლამენტმა ვერ შეძლო პრეზიდენტის არჩევა ამ პროცედურისთვის განსაზღვრული ორი ცდით. "კომპარტიას" იმ პარლამენტში უბრალო უმრავლესობა ჰქონდა, რის საფუძველზეც აირჩია სპიკერი (იგივე ვორონინი) და დროებითი მთავრობა, მაგრამ არ ჰქონდა კვალიფიციური უმრავლესობა - 61 დეპუტატი 101-დან (მხოლოდ ერთი მანდატი დააკლდათ), რაც პრეზიდენტის არჩევას სჭირდებოდა. კონსტიტუციის თანახმად, ივლისში დაინიშნა ვადამდელი არჩევნები, სადაც "კომუნისტებმა" ნაკლები ხმები მიიღეს და უმცირესობაში აღმოჩნდნენ. მათ ამჟამად 48 მანდატი აქვთ. პარლამენტში გასულმა დანარჩენმა ოთხმა პარტიამ შექმნა კოალიცია 53 მანდატით - "ალიანსი ევროპული ინტეგრაციისათვის" და 28 აგვისტოს დანიშნულ პირველ სხდომაზე აირჩია ახალი სპიკერი - "ლიბერალური პარტიის" თავმჯდომარე მიხაი გიმპუ.

"კომუნისტები" ცდილობენ, განხეთქილება შეიტანონ ახალ კოალიციაში, თუნდ ერთი პარტია გადმოიბირონ თავისკენ და შექმნან მემარცხენე ცენტრისტული კოალიცია, რაც მათ უკვე ხელისუფლების მთლიანად დაკომპლექტების საშუალებას მისცემს. თუ ეს არ გამოუვათ, ისინი გაზაფხულზე პროდასვლური ოპოზიციის მიერ გამოყენებული ტაქტიკის გამოყენებას აპირებენ - დაბლოკონ პრეზიდენტის არჩევა და მიაღწიონ ხელახალ არჩევნებს. "კომპარტიის" შესაძლო პარტნიორი ამ კოალიციაში - "დემოკრატიული პარტია" და მისი ლიდერი მარიან ლუპუ "კომუნისტებთან" თანამშრომლობაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. "კომუნისტები" ძალაუფლების შესანარჩუნებლად თუ დასაბრუნებლად ყველა საშუალებას იყენებენ, მაგრამ გარედან ისე ჩანს, რომ ხელისუფლების დაკარგვის რეალურმა საშიშროებამ ისინი დააბნია და მათ მოქმედებებში ყველაფერი სწორად გათვლილი არ არის.



ვლადიმირ ვორონინი.

AFP © 2009

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის მოვალეობა დროებით პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა შეასრულოს (დღევანდელი მდგომარეობით მიხაი გიმპუმ) ან, თუ ეს შეუძლებელია, პრემიერ-მინისტრმა. პრეზიდენტის, ამ შემთხვევაში ვორონინის გადადგომის შემდეგ ახალ პარლამენტს კანონით ახალი პრეზიდენტის ასარჩევად ორი ცდა და ორთვიანი ვადა აქვს. თუ ეს ვერ მოახერხა, ახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს. ოღონდ, არჩევნების დანიშვნა კონსტიტუციით ერთ წელიწადში მხოლოდ ორჯერ შეიძლება, შესაბამისად შემდეგი არჩევნები 2001 წლამდე ვერ ჩატარდება. "კომუნისტებმა" 28 აგვისტოს გიმპუს არჩევაც საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს. "კომპარტიამ" შევებულებაში ყოფნის გამო ვერ ჩამოაყალიბა (ან დროის გაწელვის მიზნით - არ ჩამოაყალიბა) ფრაქცია ამ საქმისთვის ოფიციალურად განკუთვნილ 10 დღეში, ვერ (ან არ) წარადგინა თავისი კანდიდატურა სპიკერის პოსტზე და 28 აგვისტოს პირველ სხდომაზე 4 სექტემბრამდე ერთკვირიანი (?!) შესვენება გამოაცხადა - სხდომა კომპარტიის წარმომადგენელ უხუცეს დეპუტატს მიჰყავდა. "კომუნისტებმა" დარბაზი დატოვეს. სხდომის წაყვანა სხვა უხუცესმა დეპუტატმა გააგრძელა. ახალშექმნილმა კოალიციამ განაცხადა, რომ მათ აქვთ სხდომის გამართვისთვის საჭირო კვორუმი და მიხაი გიმპუ სრული შემადგენლობით - 53 ხმით აირჩიეს.

კოალიცია "ალიანსი ევროპული ინტეგრაციისთვის" აპირებს, პრეზიდენტის თანამდებობაზე "დემოკრატიული პარტიის" ლიდერ მარიან ლუპუს კანდიდატურა დაასახელოს, პრემიერ-მინისტრის პოსტზე (ოღონდ პრემიერ-მინისტრის დასახელების უფლება მხოლოდ არჩეულ პრეზიდენტს აქვს, მანამდე ალბათ მხოლოდ მოვალეობის შემსრულებლის სტატუსი ექნება) - "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერ ვლად ფილატის კანდიდატურა, ხოლო ალიანსის მეოთხე წევრი პარტიის - "ჩვენი მოლდოვის" ლიდერი, კიშინიოვის ყოფილი მერი სერაფიმ ურეკიანი ალბათ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გახდება.

საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში უნდა გამოაქვეყნოს. თუ ეს გადაწყვეტილება გიმპუს არჩევას კანონიერად გამოაცხადებს, ყველაფერი ზემოთქმული სცენარით განვითარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეიძლება შიდასაპარლამენტო კრიზისი დაიწყოს. სინტერესოა, რა გავლენა აქვთ "კომუნისტებს" საკონსტიტუციო სასამართლოზე, ხომ არ "იჩქარა" ვორონინმა თანამდებობის დატოვება? ხომ არ მიუთითებს ეს მოქმედება ჩვენ მიერ ნახსენებ დაბნეულობაზე "კომუნისტების" რიგებში?

საინტერესოა კიდევ ერთი რამ. რატომ აქვთ "კომუნისტებს" იმედი, რომ ახალ არჩევნებში უკეთეს შედეგს მიიღებენ. მათ ხომ ამ შემთხვევაში ის ადმინისტრაციული რესურსიც აღარ ექნებათ, რასაც ამ ბოლო ორ არჩევნებში მეტად თუ ნაკლებად იყენებდნენ. 2010 წლამდე საკმაო დროა, რათა დროებითმა პროდასავლურმა ხელისუფლებამ გაბერილი სიების საკითხიც ასე თუ ისე მოაგვაროს (რა თქმა უნდა, პოლიტიკური ნებისა და ალიანსის სწორი და შეთანხმებული მოქმედების პირობებში) და საარჩევნო კომისიებზეც შესაბამისი გავლენა შეიძინოს. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, "კომუნისტებმა" მოლდოვაში ძალაუფლების დაბრუნება ველარ უნდა შეძლონ. შესაბამისად კი, ამ რეგიონში მათი მფარველი რუსეთის გავლენაც შემცირდება.

# "საქართველოს ბანკმა" იპოთეკური სესხების ლიმიტი გაზარდა

ნინო ნატროშვილი

“საქართველოს ბანკის” გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი გილაურმა იპოთეკურ სესხებზე ლიმიტის გაზრდის და საპროცენტო განაკვეთის შემცირების შესახებ განაცხადა. მისი თქმით, თუ “საქართველოს ბანკში” აქამდე ერთ ადამიანზე იპოთეკური სესხის ლიმიტი 50 ათასი აშშ დოლლარს შეადგენდა, ამიერიდან ერთ პირს შესაძლებლობა ექნება, 150 ათასი აშშ დოლარის მოცულობის იპოთეკური სესხი აიღოს. გარდა ამისა, გაიზარდა იპოთეკური სესხის გაცემის ყოველთვიური ლიმიტიც, რომელიც უკვე 4, 5 მლნ ლარს შეადგენს. “ვზრდით იპოთეკურ სესხებზე ლიმიტს და ვამსუბუქებთ გაცემის პირობებს. 50 ათასი დოლარიდან ზევით, 150 ათას დოლარამდე. ამ სესხებზე მოთხოვნა იზირდება და გვინდა დავაკმაყოფილოთ მომხმარებლის სურვილი. იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა დაიწია და 18 პროცენტის ნაცვლად სესხის განაკვეთის ქვედა ზღვარი 16 პროცენტიდან დაიწყება. ეს საკმაოდ კარგი ტენდენციაა, რადგან სესხებზე მოთხოვნა იზრდება” - განაცხად ირაკლი გილაურმა.

მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება იპოთეკური სესხის მოცულობის ზრდას შეუწყობს ხელს. მისივე განცხადებით, აღნიშნულ პროდუქტზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია.

საგულისხმოა, რომ აგვისტოს ომამდე “საქართველოს ბანკში” იპოთეკური სესხის ლიმიტი ერთ ადამიანზე 200 ათას აშშ დოლარს შეადგენდა. როგორც ბანკის ხელმძღვანელობა აცხადებს, ეტაპობრივად იპოთეკური სესხის გაცემის ლიმიტი ამ ნიშნულს მიუახლოვდება.

“საქართველოს ბანკმა” რამდენიმე თვის წინ მიკროსესხების გაცემის ლიმიტიც გაზარდა. მიკრო დაკრედიტების ყოველთვიური ლიმიტი 5 მილიონი ლარიდან 12,5 მილიონ ლარამდე გაზარდა. სექტემბრის თვისთვის, “საქართველოს ბანკი” მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე კორპორატიული კლიენტების დაკრედიტების ლიმიტების გაზრდასაც აპირებს. გაზრდილი ლიმიტები, ძირითადად, საბრუნავი საშუალებების დაფინანსებაზე იქნება მიმართული. “საქართველოს ბანკი” ზრდის ყოველთვიურ ლიმიტს მიკრო დაკრედიტებაზე, რადგანაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ სექტორში რისკები შემცირებულია. “საქართველოს ბანკს” 280 მილიონი ლარის მოცულობის ჭარბი ლიკვიდობა აქვს, რომელიც გვინდა დაკრედიტების ზრდას მოვახმაროთ, უპირველეს ყოვლისა კი მიკრო სესხებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას”- განაცხადა “საქართველოს ბანკის” გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი გილაურმა.

“საქართველოს ბანკში” აგვისტოში დეპოზიტები 72, 6 მლნ ლარით გაიზარდა.

ბანკის გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის განცხადებით, გაზრდილია ფიზიკური პირების დეპოზიტებიც.

მისივე განმარტებით დეპოზიტების მთლიან ზრდაში, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 50 მლნ ლარს გადააჭარბა. რაც შეეხება ბანკის ჭარბ ლიკვიდობას, აღნიშნული მაჩვენებელი 280 მლნ ლარს აღწევს, რაც ბანკის გენერალური დირექტორის განცხადებით, აუცილებლად სესხებში უნდა განთავსდეს.

“სექტემბერ-ოქტომბერში სხვა სესხების პირობებსაც გადავხედავთ. ჭარბმა ლიკვიდობამ 280 მლ ლარს გადააჭარბა, ეს თანხა უნდა განვათავსოთ გამომდინარე აქედან, ოქტომბერში ბანკი გეგმავს, სხვადასხვა სასესხო პროდუქტების პირობებს გადახედოს. სავარაუდოდ, შემცირდება საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე სესხებში, რათა გავზარდოთ დაკრედიტება. ჭარბი ფულის გამო საპროცენტო განაკვეთი შემცირდება დეპოზიტებზე”- განაცხადა ირაკლი გილაურმა.

# "სამი სახლი" მონრეალში

## ზაზა ურუშაძის ფილმი ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მოხვდა

ია ვეკუა



2008 წელს ქართულ გაქირავებაში სამიოდე ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა ჟანრისა თუ კინემატოგრაფული გაქანების მქონე ფილმი გამოვიდა. მათ შორის იყო ზაზა ურუშაძის "სამი სახლი", რომლისთვისაც ძალიან მცირე საეკრანო დრო იყო გამოყოფილი, ამიტომ ფილმის ნახვა ცოტა მაყურებელმა მოახერხა. სამწუხაროდ, ამ მართლაც კარგი ფილმის ჩვენებამ განსაკუთრებული აჟიოტაჟის გარეშე ჩაიარა, თუმცა პრემიერიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ მის შესახებ კვლავ ალაპარაკდნენ - "სამი სახლი" მონრეალის საერთაშორის კინოფესტივალის ერთ-ერთი საკონკურსო პროგრამის მონაწილეა.

ფესტივალი 27 აგვისტოს გაიხსნა და 7 სექტემბრამდე გასტანს. სწორედ ამ დღეს გავიგებთ მოახერხებს თუ არა ურუშაძის ნამუშევარი პროგრამა "ფოკუსში" წარმოდგენილი რამდენიმე ათეული ფილმისთვის ღირსეული კონკურენციის გაწევას და სასურველი შედეგის მიღწევას. კონკურენცია კი მართლაც დიდია - აქ მთელი მსოფლიოს კინომ მოიყარა თავი და თვითოეულს აქვს პრეტენზია იყოს საუკეთესო.

ზაზა ურუშაძის ფილმს ჟანრის გრაფაში რომანტიკული კომედია უწერია, თუმცა რამდენად კომედიურია მისი შინაარსი, ოდნავ სადაო თემაა. ყოველ შემთხვევაში ფილმის ძირითადი ხასიათი დრამისკენ უფრო იხრება. ურუშაძემ "სამი სახლი" საკუთარი სცენარის მიხედვით არჩილ გელოვანისა და ლევან კორინთელის პროდიუსერობით გადაიღო. ფილმში თანამედროვე ქართული სცენისა და კინოს რამდენიმე ვარსკვლავია დაკავებული: ჟანრი ლოლაშვილი, ზურაბ ყიფშიძე, მურმან ჯინორია, ნინო ბურდული, ნინელი ჭანკვეტაძე, ნატა მურვანიძე, ეკა ანდრონიკაშვილი, თორნიკე ბზიავა, ნინო ქორიძე, დათო იაშვილი და სხვები. მსახიობთა სიმრავლე ცხადია პერსონაჟთა რაოდენობაზეც მიანიშნებს, რომლებიც სამ ნოველაში არიან გადანაწილებული.

ზაზა ურუშაძემ სცენარი მსოფლიოში კარგად აპრობირებული, თუმცა ქართული კინოსთვის შედარებით უცხო კინოხერხით შექმნა. სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ამბავი, რომლებიც სამ სხვადასხვა საუკუნეში, სოციალურ ფენასა და ცხადია სამ სახლში ვითარდება, ერთმანეთთან მხოლოდ ერთი ნივთით - ნახატით არიან დაკავშირებული (ნახატის ავტორი, რომელზეც მეტად საინტერესო ფიგურაა გამოსახული, ჟანრი ლოლაშვილია). ნახატის გარდა მათ პრაქტიკულად არაფერი აკავშირებით, თუმცა ამის მიუხედავად ურუშაძის ნამუშევარი ფორმას არ კარგავს და ბოლომდე ინარჩუნებს უნაკლო დინამიკასა და ხასიათს.

ნახატი ფილმის პირველივე ნაწილში ჩანს. მოქმედება მე-19 საუკუნის მიწურულს ორი არისტოკრატული ოჯახის ურთიერთობის ირგვლივ ვითარდება. ფილმის პირველივე სცენებიდან ჩანს, რომ მაყურებელს წინ ბოლო წლების ქართული კინოპროდუქციისგან სრულიად განსხვავებული სანახაობა ელის - ფილმი მკაფიოდ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ავტორები მასზე მთელი არსებით მუშაობდნენ. გიორგი ბერიძისა და გიორგი შველიძის კამერის ობიექტივი არა მხოლოდ ძალიან კარგი მსახიობების თამაშს აფიქსირებს, არამედ ხელის გულზე გვიშლის დროისთვის დამახასიათებელ მთელ ბრწყინვალებას: შესანიშნავია კოსტუმები, მაკიაჟი, დეკორაცია და რაც მთავარია სწორადაა შერჩეული ტიპაჟები, რომლებიც ეპოქასგან დაცილების საშუალებას არ გაძლევენ.

მეორე ნაწილში მოქმედება მეორე მსოფლიო ომის დროს ვითარდება, თუმცა ომი აქ მხოლოდ პასიური ფონის როლს ასრულებს. საბჭოთა ჯარის მალალჩინოსნის ცოლისა და საყვარლის რამდენიმე წუთიანი შავთეთრი ურთიერთობა "სამი სახლის" საუკეთესო ნაწილია. სწორედ აქ აწყდება მაყურებელი ემოციების მძლავრ ტალღებს, რომელთა მთავარი ავტორი ნატა მურვანიძეა. ეს მსახიობი ფილმის აშკარად მთავარი ვარსკვლავია, მისი გარეგნობა კი ის ფაქტურა, რომელიც სიუჟეტს სანელებლებივით აკეთილშობილებს. ფილმის ამავე ნაწილში ოპერატორისა და გამნათებლის შესანიშნავი ტანდემის მოწმეებიც ვხვდებით.

შედარებით მსუბუქია "სამი სახლის" დასკვნითი ნაწილი - თანამედროვე ისტორია ეპოქისთვის დამახასიათებელი პრობლემებით: ნარკოტიკები, ჰომოსექსუალიზმი და ასე შემდეგ. ჟანრი ლოლაშვილი ამ ნაწილშიც ჩანს. იგი მოწიფული ასაკის ჰომოსექსუალს თამაშობს, რითაც პრაქტიკულად სამსახიობო გმირობას ჩადის - ეს ხომ ქართული კინოა! რომანტიკული კომედიის ჟანრს ყველაზე მეტად ფილმის სწორედ ეს ნაწილი პასუხობს, თუმცა ზაზა ურუშაძე ამ ყველაფერს ისეთი პედანტიზმითა და უშუალობით გადმოგვცემს, რომ ყველაზე რადიკალურად განწყობილი მაყურებლის განრისხებაც შეუძლებელია. ძალიან კარგია დათო იაშვილის პერსონაჟი, ნარკომანი ახალგაზრდა, რომლის საფინალო ფრაზა მთელი ფილმის მისტიკურობას თუ დრამატიზმს ანგრევს და ხელში ფილმის სიუჟეტის აბსურდულობას გვიტოვებს.

■ ■ ■

მონრეალის საერთაშორისო კინოფესტივალი 1977 წლიდან ტარდება და მსოფლიოს უმაღლესი კატეგორიის კინოფორუმებს შორის მოიხსენიება. ფესტივალი კვებეკში ტარდება, ამიტომ ტორონტოს კინოფესტივალისგან განსხვავებით ინგლისურ ენოვან ფილმებზე მეტად სხვადასხვა ქვეყნის კინოპროდუქციას უთმობს ასაპრეზს. ფესტივალი რამდენიმე მთავარ საკონკურსო პროგრამას აერთიანებს, მათ შორისაა მხატვრული და დოკუმენტური კინოს განყოფილებები და კანადის სტუდენტური ფილმების კონკურსი. ფესტივალზე რამდენიმე დამატებითი სექციაც მუშაობს, სადაც ხალხის რჩეულ, საუკეთესო კანადურ ფილმს, ლათინოამერიკულ და მოკლემეტრაჟიან ფილმებს აჯილდოებენ.

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება




### ჩარგალში "ქართული ლექსის ღამე" გაიმართება

5-6 სექტრმბერს ვაჟა-ფშაველას მშობლიურ სოფელ ჩარგალში პოეტის დაბადებიდან 148 წლის აღსანიშნავად "ქართული ლექსის ღამე" გაიმართება. ღონისძიებაში მონაწილეობას ცნობილი ქართველი პოეტები, თეატრალური დასები და საშემსრულებლო კოლექტივები მიიღებენ. ღონისძიების ორგანიზატორი და ინიციატორია ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაცია.

ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის დირექტორის ლელა რაზიკაშვილის თქმით, "ქართული ლექსის ღამე" ჩარგლში, მუზეუმის მიმდებარე ამფითეატრთან გაიმართება. აქ სპეციალური ბანაკი მოეწყობა ღონისძიების მონაწილეებისთვის და მთელი ღამე ქართულ პოეზიას მიეძღვნება. "ამას გარდა, გაიმართება დოღი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მედიისა და ხელისუფლების წარმომადგენლები. სასიხარულოა, რომ ვაჟას სახელობის დოღში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს ცნობილმა ჟურნალისტებმა და სახეებმა. დოღში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სამახსოვრო პრიზებით. საჩუქრები გადაეცემათ ღონისძიების იმ მონაწილეებსაც, რომლებიც ვაჟასა და ქართული პოეზიის საუკეთესო ცოდნას გამოავლენენ და საუკეთესო ახალ ლექსს წაგვიკითხავენ." - ამბობს ლელა რაზიკაშვილი.

"ქართული ლექსის ღამეს" პოეტი რატი ამაღლობელი და მსახიობი ცისანა ქოთილაიძე გაუძღვებიან. ღონისძიებები ჩარგალში 5 სექტემბერს 15 საათიდან დაიწყება და მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდება. " ვაჟაობაში" მონაწილეობის მსურველი მედიის წარმომადგენლებისათვის დანიშნულია სპეციალური ავტობუსი. ავტობუსი ჩარგლისკენ 5 სექტემბერს 13:00 საათზე საბურთალოს ყოფილი ბაზრის (კანდელაკის ქუჩის დასაწყისი) მიმდებარე ტერიტორიიდან გავა.

### ემირ კუსტურიცას გმირები აფხაზურ ენაზე ამეტყველდებიან

სერბი რეჟისორის ემირ კუსტურიცას ფილმს "თეთრი კატა შავი კატა" აფხაზურ ენაზე თარგმნიან. ფილმის დუბლირება აფხაზური ენის განვითარების "სახელმწიფო" ფონდის სტუდია "ამშ"-ში მიმდინარეობს.

დუბლირების რეჟისორის ვიაჩესლავ აბლოთიას თქმით, ფილმის დუბლირებაში აფხაზეთის დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობები მონაწილეობენ. "თავად დუბლირების პროცესი საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ საინტერესო. ჩვენი მსახიობებიც დიდი სიამოვნებით მონაწილეობენ ამ პოპულარული ფილმის დუბლირების პროცესში რომელიც ბალკანელი ბოშების ცხოვრებას ეძღვნება", - აცხადებს აბლოთია და დასძენს, რომ კუსტურიცას ფილმის დუბლირების პროცესი მიმდინარე წლის ბოლოსათვის დასრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ვაჩნაძიანის ეკლესიის რეაბილიტაცია დასრულდა

გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანში მდებარე ამიდასტურის ეკლესიაში, რომელიც VI-VII საუკუნეებით თარიღდება, საუკუნოვანი უმოქმედობის შემდეგ წირვა - ლოცვა განახლდა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძეგლთა დაცვის სამსახურის სპეციალისტმა თამაზ მარკოზაშვილმა განუცხადა, ეკლესიაში წირვა-ლოცვის განახლება მას შემდეგ გახდა შესაძლებელია, რაც ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. ეკლესიის რესტავრაცია მთლიანად ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ფონდმა დააფინანსა. საღმრთო მსახურების აღდგენასთან დაკავშირებით, გურჯაანი ველისციხის ეპისკოპოსი, მეუფე ექვთიმე ეკლესიას უახლოეს დღეებში აკურთხებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ნიკა რურუა ახალი ქართული ფილმის გადამღებ ჯგუფს შეხვდა

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, ნიკოლოზ რურუა გუშინ ახალი ქართული მხატვრული ფილმის "გორის გავლით" გადამღებ ჯგუფსა და მის მონაწილეებს შეხვდა. ქართველმა რეჟისორმა და ავსტრიელმა პროდიუსერმა ფილმი ავსტრიული კინოკომპანია "ილუმინარის" დახმარებით გადაიღეს და იგი გასულ წელს, რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებულ აგრესიასა და ქართული ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებულ მოვლენებს ასახავს.

ფილმში მთავარ როლებში მონაწილეობენ არასრულწოვანი ბავშვები, რომლებსაც მინისტრმა შეხვედრისას სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველო ფიფაში ჩამოქვეითდა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა იტალიასთან მატჩის წინ ფიფას მიერ გამოქვეყნებულ სექტემბრის რეიტინგში მდგომარეობა 9 საფეხურით გაიუარესა და 103-იდან 112-ზე ჩამოქვეითდა. რეიტინგის მოწინავე სამეულში კი ცვლილება არ მომხდარა.

**ფიფას რეიტინგის რჩეული ოცეული:**

1 (1). ბრაზილია -1604
2 (2). ესპანეთი -1588
3 (3). ჰოლანდია -1376
4 (4). გერმანია -1186
4 (5). იტალია -1186
6 (6). რუსეთი -1129
7 (7). ინგლისი -1127
8 (8). არგენტინა -1113
9 (10). ხორვატია -1101
10 (9). საფრანგეთი -1040
11 (12). აშშ -974
12 (11). საბერძნეთი -971
13 (14). სერბეთი -916
14 (16). ავსტრალია -907
15 (13). შვეიცარია -898
16 (15). დანია -892
17 (17). პორტუგალია -880
18 (22). ჩეხეთი -870
19 (23). ბულგარეთი -860
20 (18). კოტ დ`ივუარი -852
. . . . . . .
38 (37). ირლანდია -743
76 (73). კვიპროსი - 429
89 (96). ჩერნოგორია -380
**112 (103). საქართველო -296**

**შენიშვნა: იტალია, ბულგარეთი, ირლანდია, კვიპროსი და ჩერნოგორია 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მერვე ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან.**

## პლაჟის ფრენბურთელები ოცეულში ადგილს ინარჩუნებენ

პლაჟის ფრენბურთში საქართველოს ნაკრების სახელით მოასპარეზე ბრაზილიური წყვილები აგრძელებენ წარმატებულ ასპარეზობას და პლაჟის ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში, როგორ ქალთა, ისე ვაჟთა წყვილები წამყვან ოცეულში არიან. ვაჟთა ტურნირებში რენატო გომეშისა და ჟორჟ ტერშეროს წყვილი (გეორ-გია) რეიტინგის მეთხუთმეტე საფეხურზეა 2 280 ქულით (აქვე გეტყვით, რომ ქულათა ეს რაოდენობა დაახლოებით 62 550 დოლარი საპრიზო თანხის ტოლფასია). ქალთა კლასიფიკაციაში 2 340 ქულით მეთექვსმეტეა საქა-რთველო, რომელშიც ასევე ბრაზილიელები კრისტინა სანტანა და ანდრეცა ჩაგაში ირიცხებიან.

რეიტინგში სულ 184 წყვილია. საქა-რთველოს 13 ეტაპი უმაგრებს ზურგს, საპრიზო ფონდიდან კი 59 650 დოლარი აქვს მიღებული.

## კლიჩკო VS ჩემბერსი მარტამდე გადაიდო

კრივის მსოფლიო ორგანიზაციისა და ფედერაციის უკრაინელ ჩემპიონს ვლადიმირ კლიჩკოს წლეულს, 12 დეკემბერს, ორგანიზაციის მთავარი ქამრის სავალდებულო პრეტენდენტთან ედი ჩემბერსთან ჩხუბი მართებდა, მაგრამ მარცხენა მხარზე მიღებული ტრავმის გამო უკრაინელისა და ამერიკელის დაპირისპირება მომავალი წლის მარტისთვის გადაიდო.

ორთაბრძოლათა გადადების შემთხვევაში მოკრივეები, როგორც წესი, ერთმანეთს სიმხდალეში ადანაშაულებენ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც უკრაინელი მძიმეწონოსნის მისამართით მსგავსი არაფერი თქმულა.

## რიბერი ვან გაალს შემოსწყრა

სატრანსფერო პერიოდში "ბაიერნმა" ფრანკ რიბერი შეინარჩუნა, თუმცა რამდენ ხანს დარჩება ფრანგი ვარსკვლავი გერმანულ გრანდში, ძნელი სათქმელია. რიბერი არ მალავდა, რომ "რეალში" გადასვლა სურდა, მაგრამ "რეკორდმაისტერებმა" თავისი მთავარი ვარსკვლავის გაშვება არ ისურვეს.

როგორც ჩანს, რიბერიმ საბოლოოდ აიცრუა გული გერმანულ გუნდზე. ახლა ის საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება და ფრანგ ჟურნალისტებთან საუბარში ვან გაალი გააკრიტიკა. კერძოდ, რიბერი ჰოლანდიელს მუშაობის სტილს უწუნებს. "დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოთამაშესა და მწვრთნელს შორის ურთიერთნდობა სუფევდეს. ამ მხრივ ვან გაალის შემთხვევაში საქმე რთულადაა, - აღნიშნა მან, - ეს პირველი შემთხვევაა, როცა მწვრთნელთან ჩემი ურთიერთობა პოზიტიური არ არის. კაცს გართობისა და სერიოზულობის შეზავება უნდა შეეძლოს. თანაგუნდელებთან ურთიერთობაში კი, უკვე ორი თვეა, გართობის ელემენტი მოკვდა."

## როტენი "რეინჯერსში" ითამაშებს

პსჟ-ს 31 წლის ნახევარმცველი ჟერომ როტენი შოტლანდიურ "რეინჯერსში" გააგრძელებს კარიერას. ამის შესახებ ინფორმაციას ფრანგული მედია ავრცელებს.

ერთი წლის განმავლობაში როტენი "რეინჯერსში" იჯარის წესით ითამაშებს, შემდეგ კი შოტლანდიელებს ფრანგი ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება ექნებათ.

როტენმა პროფესიონალური კარიერა "კანში" დაიწყო, სახელი კი გაითქვა "მონაკოში" თამაშით. ამ გუნდთან ერთად 2004 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწია, პარიზულ კლუბში კი ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, რის გამოც გასულ ზაფხულს გადაწყვიტა, სხვა გუნდში გადასულიყო.

"გლაზგო რეინჯერსის" გარდა, ფეხბურთელით გერმანული "შალკეც" იყო დაინტერესებული.

# პელე vs მარადონა

მოახლოვდა მორიგი სამხრეთამერიკული დერბი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები გუნდები უპირისპირდებიან ერმანეთს. ცხადია, წმინდა სატურნირო თვალსაზრისით ამ მატჩს განსაკუთრებული დატვირთვა არა აქვს. 2010 წლის მუნდიალის ფინალურ ეტაპზე რომ ორივე სამხრეთამერიკული გრანდი ითამაშებს, ეს ეჭვს არ იწვევს. თუმცა, რა შუაშია სატურნირო ცხრილი, როდესაც ერთმანეთს ხვდებიან ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრები გუნდები.

6 სექტემბერს საფეხბურთო ომს არგენტინა უმასპინძლებს, მანამდე კი სიტყვიერი ომი უცხოურ მედიაში გაჩაღდა.

ბრაზილიურ-არგენტინულ დაპირისპირებას არაერთი ასპექტი აქვს. მათ შორის არის ერთი კითხვაც: პელე უკეთესია თუ მარადონა. და აი, ამ დღეებში არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ სწორედ ის არის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი და არა პელე. საკუთარი სიტყვების დასტურად დიეგომ გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები მოიტანა და ისიც დაამატა, რომ პელეს, მისგან განსხვავებით, ევროპაში არ უთამაშია.

ამ ინტერვიუში მარადონა საკმაოდ კორექტული იყო და ბრაზილიელთა მიმართ არც ერთი უხეში ფრაზა არ დასცდენია.

თუმცა, პელე რისი პელე იქნებოდა, რომ მარადონასთვის არ ეპასუხა. ფეხბურთის მეფეც კორექტული გამოდგა თავის


პელეს მარადონას გუნდის დამარცხების იმედი აქვს

კომენტარში.

პელეს იმედი აქვს, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში მისი ქვეყნის ეროვნული გუნდი არგენტინის ნაკრებს დაამარცხებს.

"ბრაზილიის გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ, განსაკუთრებით ისეთ გუნდთან შეხვედრისას, როგორიც არგენტინაა. მას ყოველთვის ვუგებდით. ძლიერ მეტოქეზე გამარჯვება მუდამ სასიამოვნოა. მარადონას ყველაფერი აქვს, რათა თანდათან ბრწყინვალე მწვრთნელად იქცეს, მაგრამ, იმედი მაქვს, ის ამას ბრაზილიასთან მატჩით არ დაიწყებს", - ასეთი კომენტარი გააკეთა პელემ სააგენტო goal.com-თან საუბრისას.

# "ქალაქური" გაქანებით

დაიხურა სატრანსფერო ფანჯარა და ახლა უცხოურ მედიაში ხშირად საუბრობენ იმაზე, თუ რომელმა კლუბმა რამდენი დახარჯა. ამ მხრივ აშკარა რეკორდსმენია მადრიდის "რეალი", თუმცა, შევეშვათ "სამეფო კლუბს", რადგან ამჯერად ინგლისურ პრემიერშიპზე გვსურს საუბარი.

ბოლო წლებში ბრიტანეთში ყველაზე მეტ ფულს ახალი ფეხბურთელების შეძენაზე დიდი ოთხეულის კლუბები ხარჯავდნენ. ამჯერად ვითარება შეიცვალა. მეტიც, წლევანდელი სატრანსფერო სეზონი გარკვეულწილად გამონაკლისადაც შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ პრემიერლიგის კლუბებიდან წლევანდელ სატრანსფერო პერიოდში ფული მხოლოდ "მანჩესტერ სიტიმ" დახარჯა, დიდი ოთხეულის კლუბები კი მოკრძალებული შენაძენებით შემოიფარგლნენ და გაცილებით მეტი თანხა იშოვეს ფეხბურთელების გაყიდვით.



ტევესის ტრანსფერი ყველაზე ძვირი გამოდგა

სატრანსფერო საქმიანობის მხრივ "ქალაქელები" ინგლისური პრემიერშიპის რეკორდსმენებად იქცნენ. ამ კლუბმა ახალი ფეხბურთელების შეასძენად 120 მილიონი ევრო გაიღო. ეს თანხა გარეტ ბერიში, კარლოს ტევესში, როკე სანტა კრუზში, ემანუელ ადებაიორში, კოლო ტურესა და ჟოლეონ ლესკოტში გადაიხადა. ამავე დროს "სიტი" რამდენიმე ფეხბურთელს შეელია, თუმცა მათი გაყიდვით მიღებული თანხა მეტად მცირეა.

"ქალაქელთა" მეზობლებმა კი ფაქტობრივად დაისვენეს სატრანსფერო პერიოდში. "მანჩესტერმა" "რეალს" სარეკორდო თანხად მიჰყიდა კრიშტიანუ რონალდუ, ხოლო "სიტის" - კარლოს ტევესი. ამ ორი ვარსკვლავის სანაცვლოდ ფერგიუსონის გუნდმა შეიძინა ლუის ვალენსია, გაბრიელ ობერტანი და მაიკლ ოუენი.

"ლივერპულმა" ორი მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა - საუბარია გლენ ჯონსონსა და ალბერტო აკვილანზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბენიტესმა ხაბი ალონსო და არბელოა გაყიდა, ნათელია, რომ სატრანსფერო პერიოდში არც მერსისაიდელთა ბიუჯეტი შემცირებულა.

იგივე ითქმის "არსენალზე". არსენ ვენგერმა გუნდიდან ადებაიორი და ტურე გაყიდა, მათ სანაცვლოდ კი ტომას ვარმალენი იყიდა.

რაც შეეხება დანარჩენ გუნდებს, მათი სატრანსფერო საქმიანობა დიდად არ გამოირჩეოდა გასული წლებისგან.

პრემიერშიპის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენები არიან კარლოს ტევესი და ემანუელ ადებაიორი. თითოეულში "სიტიმ" 29 მილიონი ევრო გადაიხადა. ყველაზე ძვირად ღირებული ინგლისელი ფეხბურთელი კი ამ სატრანსფერო საზონში არის ჯოლეონ ლესკოტი, რომელშიც "ქალაქელებმა" 27 მილიონი ევრო გადაიხადეს.

წლეულს ყველაზე მეტად "ჩელსიმ" გაგვაკვირვა. რომან აბრამოვიჩმა საერთოდ იგნორირება გაუკეთა სატრანსფერო სეზონს. როდესაც იური ჟირკოვი "ჩელსის" ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენია, სერიოზულ ტრანსფერებზე საუბარი არც ღირს.

# ალონსო "ფერარიში" ნაადრევ გადასვლას გამორიცხავს

ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ესპანელი ფერნანდო ალონსო მიმდინარე სეზონის ბოლომდე "ფერარიში" გადასვლას გამორიცხავს. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ბრაზილიელი ფელიპე მასა ჩემპიონატს წელს აღარ დაუბრუნდება, პრესაში გაჩნდა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, მასას შემცვლელ ლუკა ბადორეის ნაცვლად მარანელოელებს მიეწვიათ ალონსო, რომელიც მერმის მაინც "ფერარის" პილოტი გახდება (ამაზე უკვე ყველა ღიად საუბრობს, მაგრამ თავად ალონსო და იტალიური გუნდი ჯერ არაფერს ადასტურებენ და ელიან იტალიის დიდ პრიზს, როდესაც "ფერარი" მნიშვნელოვან პრესკონფერენციას ჩაატარებს).




ალონსოს არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მალე მიიღებს

ესპანური რადიოსადგურის "სადენა სერის" კითხვაზე, აპირებს თუ არა "ფერარიში" ბადოერის შეცვლას, ალონსომ მოკლედ უპასუხა: არა და ამას წყალი არ გაუვაო. მაგრამ გაზეთმა "ასმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ბელგიური ეტაპის დროს, სპა ფრანკორშანის პადოკში, "რენოს" შეფი ფლავიო ბრიატორე "ფერარის" შეფს სტეფანო დომენიკალის შეხვდა და მასთან სწორედ ალონსოს საკითხი განიხილა.

მიმომხილველები თვლიან, რომ ბრიატორეს ალონსოს გაშვება ხელს არ აძლევს, რადგან, ამ შემთხვევაში, "რენოს" სპონსორებთან ურთიერთობა გაურთულდება. მაგრამ იტალიელი მენეჯერი თავის მიდგომას შეიცვლის, თუ "ბეემვე ზაუბერი" კონტრაქტისგან თავის პოლონელ ვარსკვლავს რობერტ კუბიცას გაათავისუფლებს. როგორც ჩანს, ბრიატორეს სწორედ კუბიცა ესახება ალონსოს შემცვლელად და არა ფინელი კიმი რაიკონენი, რომლის ადგილსაც ესპანელი "ფერარიში" დაიკავებს.

ეს კი ირიბად ნიშნავს, რომ აისმენი მერმის დაუბრუნდება "მაკლარენს", საიდანაც სამი წლის წინ იტალიურ გუნდში გადავიდა. თავის მხრივ, ეს იმას მოასწავებს, რომ "უილიამსი" შეინარჩუნებს გერმანელ ნიკო როსბერგს, რომელსაც "მაკლარენისკენ" მიუწევს გული.

რაც შეეხება ალონსოს, იმავე "სადენა სერთან" საუბრისას მან განაცხადა, რომ არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მალე მიიღებს. ეს "მალეც" განმარტა - ეს შეიძლება იყოს რამდენიმე დღე ან რამდენიმე თვე.

ვინლა დაიჯერებს...

*მოამზადა*
*მერაბ ლორთქიფანიძემ*
*http://formula1ge.blogspot.com*

# ასტურიის პრინცეს ისინბაევა თვალში მოუვიდა

*ასტურიის პრინცის მიერ დაარსებული "პრემია სპორტის დარგში 2009"-ის ჟიურიმ საკუთარი რჩეული წარუდგინა სამყაროს. ეს არის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, მრავალგზის რეკორდსმენი, ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა.*

ჟიურის წევრებს საკუთარი რჩეულის დასახელებამდე განსაკუთრებით თვალში მოსვლიათ ისინბაევას 27 მსოფლიო რეკორდი და ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების ოქროს მედლები.

"ამ მიღწევებით ის საკუთარ დისციპლინაში ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენია", - წერია კომუნიკეში.

პრესტიჟული ჯილდოსთვის რუსმა ჭოკით მხტომელმა 20 ხმით აჯობა საშუალო მანძილებზე რბენაში ცნობილ ესპანელ მძლეოსანს მარტა დომინგეს,



ისინბაევა და მისი რეკორდები

რომელსაც იმავე ჟიურისგან ცხრა ხმა ერგო.

დაჯილდოების ცერემონია 23 ოქტომბერს ოვიედოში (ესპანეთი) გაიმართება.

ასტურიის პრინცის ფონდი 1981 წლიდან ყოველწლიურ პრემიებს გადასცემს რვა ნომინაციაში: ჰუმანიტარული საქმიანობა, სოციალური მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერულ-ტექნიკური კვლევა, საერთაშორისო თანამშრომლობა, თანხმობა, სპორტი. ხშირად ამ პრემიის ლაურეატებს მოიხსენიებენ, როგორც "მსოფლიოს ესპანურენოვანი ნობელის პრემიის ლაურეატებს".

პრემია სპორტის დარგში დაწესდა 1987 წელს და გადაეცემა "ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს ან ორგანიზაციას, რომლებმაც სპორტის სამყაროში ახალ სიმაღლეებს მიაღწიეს, ძალ-ღონეს არ იშურებენ საკუთარი თავის სრულყოფისთვის, განვითარებისა და სპორტის პროპაგანდისთვის". პრემია - ეს არის 50 ათასი ევრო, დიპლომი და მხატვარ ჟოან მოროს ესკიზით დამზადებული ქანდაკება.

სხვადასხვა წლებში პრემიის ლაურეატები იყვნენ მძლეოსნები სებასტიან კოე და სერგეი ბუბკა, გოლფის ოსტატი სევერიანო ბალესტეროსი, ველომრბოლი ლენს არმსტრონგი, ფორმულა 1-ის მრბოლები ფერნანდო ალონსო და მიხაელ შუმახერი.

შარშან ეს პრემია ერგო ესპანელ ჩოგბურთელს რაფაელ ნადალს.

## კანის რჩევა

მიუნხენის "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ ოლივერ კანმა მიხაელ რენსინგს "ბაიერნის" დატოვება ურჩია. ერთ დროს სწორედ რენსინგს მოიხსენიებდნენ კანის მემკვიდრედ, თუმცა ნიჭიერმა ახალგაზრდა მეკარემ მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა. "ფეხბურთში თითქმის ყველაფერი ვნახე და ჩემთვის ერთი რამ ნათელია - მიხაელს "ბაიერნში" აღარაფერი გამოუვა, - აღნიშნა კანმა გერმანულ მედიასთან საუბარში, - კლასი არ აკლია, მაგრამ მისი პრობლემა უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა. არ ვიცი, ეყოფა თუ არა მას მენტალური ძალა, რომ "ბაიერნში" საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინოს. არადა, ყოველთვის დიდებულად თამაშობდა, როცა მე ტრავმა მქონდა და კარი მას უნდა დაეცვა. ოტმარ ჰიცფელდიც მუდამ მხარში ედგა. ასე რომ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ ვერ შეძლო მან განვითარება."

## კასილასს ახალი ბურთი არ მოეწონა

მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ეროვნული ნაკრების მეკარე იკერ კასილასი იწუნებს ახალ ბურთებს, რომლებიც საერთაშორისო მატჩებში გამოიყენება.

კასილასს მიაჩნია, რომ ასეთი ბურთები არაბუნებრივი ტრაექტორიით მიფრინავენ და თამაშს ართულებენ. "სამწუხაროდ, ახალი ბურთების შემუშავება და წარმოება იქამდეა მისული, რომ მათი გამოყენება უკვე შეუძლებელია. განსაკუთრებით საშინლად დაფრინავენ ჩემპიონთა ლიგის ბურთები. ეს ყველაფერი ფეხბურთს ართულებს, რაშიც ნამდვილად დავრწმუნდით როგორც კონფედერაციათა თასის გათამაშებაში, ისე ევროპის ჩემპიონატზე. ის ბურთები, რომლებიც ეროვნულ პირველობებში გამოიყენება, ცოტა უფრო ბუნებრივია. უცნაურობები მათაც ახასიათებთ, თუმცა, არც ისე ხშირად. რაც შეეხება დანარჩენებს, ეს სრული კატასტროფაა", - ამბობს კასილასი.

## დიდიე დროგბა ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს

ლონდონის "ჩელსის" ფორვარდი დიდიე დროგბა მიიჩნევს, რომ მომავალ სეზონში ტიტულების დაუფლება კიდევ უფრო გართულდება.

"ის ფაქტი, რომ "ჩელსის" შემადგენლობა დიდად არ შეცვლილა, ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს. მომავალ სეზონში ეს შეიძლება ჩვენს მთავარ ძალად იქცეს. პრემიერლიგა ყოველწლიურად სულ უფრო ძლიერდება. ეჭვგარეშეა, რომ ახალი სეზონი კიდევ უფრო მეტი სირთულის წინაშე დაგვაყენებს. ახლა ხუთი ან ექვსი გუნდია, რომლებსაც ტიტულისთვის ბრძოლა შეუძლიათ. რა თქმა უნდა, "მანჩესტერ სიტის" დიდი შესძლებლობა აქვს.

ვფიქრობ, ამ კლუბს კიდევ ესაჭიროება დრო, რათა თანაბარ დონეზე ეპაექროს პრემიერლიგის ოთხ საუკეთესო გუნდს. მაგრამ მანჩესტერელები თავისას მიაღწევენ. ჩვენ არც "ასტონ ვილას" და "ტოტენჰემს" ვივიწყებთ. დიდი ოთხეულის შესახებ საუბარი აღარ ღირს. დღეს ჩვენს თვალწინაა დიდი ხუთეული ან ექვსეული. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში "მანჩესტერ იუნაიტედი" დამსახურებულად იგებდა ჩემპიონატს. საკმარისია! ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა სიტუაცია შევცვალოთ. პირადად მე "ჩელსიში" თავს ჩინებულად ვგრძნობ და ამ კლუბთან ერთად ბევრი ტიტულის დაუფლება მინდა. თუმცა ჩემი პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგაა. დარწმუნებული ვარ, ამ ტურნირის მოგებას შევძლებთ", - ამბობს კოტდივუარელი ფორვარდი sky sports-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

## ტორესი ორ მილიონად გაიყიდა

"ხეტაფემ" ორ მილიონ ევროდ მადრიდის "რეალისგან" მიგელ ტორესი შეიძინა. ესპანური მედიის ინფორმაციით, "სამეფო კლუბის" ყოფილ მცველთან "ხეტაფემ" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## "ჰერენვენი" უმწვრთნელოდ დარჩა

მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში "ჰერენვენმა" ჰოლანდიის თასი მოიგო და ამ კლუბმა უეფას ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც მოიპოვა თამაშის უფლება, გუნდის ხელმძღვანელებმა თანამდებობიდან დაითხოვეს ნორვეგიელი მწვრთნელი ტრონდ სოლიე.

"ვწუხვართ მომხდარის გამო, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო. "ჰერენვენმა" სოლიესთან ერთად პირველი მნიშვნელოვანი ტიტული მოიგო, რისთვისაც ნორვეგიელ სპეციალისტს მადლობა ეკუთვნის", - ნათქვამია ჰოლანდიური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე.

"ჰერენვენმა" ქვეყნის თასის ფინალში ენსხედეს "ტვენტეს" პენალტების სერიაში სძლია და პირველად მოიპოვა ეს ტიტული.

# საქართველოს რკინიგზამ აგვისტოში სამგზავრო ბილეთების რეალიზაციიდან რეკორდული შემოსავალი მიიღო

2009 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონი საქართველოს რკინიგზისათვის წარმატებით მიმდინარეობს. წინასწარი მონაცემებით, ა.წ აგვისტოში სამგზავრო ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 მლნ 367 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს რკინიგზის არსებობის მანძილზე მიღწეული აბსოლუტური რეკორდია. მით უმეტეს, უკანასკნელი 4 წლის მანძილზე რკინიგზით მგზავრობის ღირებულება არ გაზრდილა, პირიქით, რიგ საგარეუბნო მატარებლებზე შემცირდა კიდეც.

მატარებლით მგზავრობაზე მოთხოვნის გაზრდა მგზავრის მოთხოვნებზე ორიენტირებულობისა და გაუმჯობესებული სერვისის შეთავაზების შედეგია.

თბილისი-მახინჯაურის მიმართულებით ყოველდღიურად სამი სამგზავრო მატარებელი მოძრაობს, რომელშიც ჩართულია ყველა კლასის ვაგონი და ფასი ხელმისაწვდომია მოსახლეობის ყველა კატეგორიისათვის. გარდა ამისა, გაიხსნა 31 დამატებითი საბილეთო სალარო თბილისში, მახინჯაურში, ქობულეთში და ურეკში. ასევე, ბილეთების კომპიუტერული ქსელით რეალიზაციის სისტემა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ 67 სალაროში მგზავრობამდე ხუთი დღით ადრე პერიოდში ბილეთების შეუფერხებლად შეძენის საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა, დამსვენებლებს სამგზავრო ბილეთებით უზრუნველყოფს 14 ტურისტული სააგენტოს 17 საბილეთო სალარო თბილისში, ბათუმსა და ფოთში.

წარმატებით იმუშავა და ძალზე პოპულარულია ტელეფონით ბილეთების დაჯავშნის სისტემამ. ნომერზე 56-34-34 დარეკვით, მოსახლეობას გამგზავრებამდე 15 დღით ადრე პერიოდში შეუძლია დაჯავშნოს ადგილები. რეზერვირების ოპერატორები დღეში საშუალოდ 500-ზე მეტ ზარს იღებენ.

გაუმჯობესდა საგარეუბნო მატარებლების მუშაობა, რამაც შესაძლებელი გახადა მგზავრობა პრაქტიკულად დღის ნებისმიერ პერიოდში.

მარკეტინგული კვლევების საფუძველზე, საქართველოს რკინიგზა კვლავაც შემოგთავაზებთ გაუმჯობესებულ სერვისს, სადაც მგზავრთა სურვილები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.


საჩუქრები მთელი წელი!
სექტემბერი
გახსენით ვადიანი+ ანაბარი დოლარში 1 წლით და მიიღეთ
+1%
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

## ა კ ო ნ კ უ რ ს ი ! ! !
## თბილისის საქალაქო სასამართლოში სტაჟიორების მიღებაზე

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლო აცხადებს კონკურსს სტაჟიორთა მიღებაზე.

სტაჟიორობის კანდიდატი შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს იურისტის კვალიფიკაცია, ან არის უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა. კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე);
ბ. საქართველოს კონსტიტუციის;
გ. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის;
დ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის;
ე. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესების" შესახებ დებულების;
**ვ.** საქართველოს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის;
**ზ.** საქართველოს ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის;
**თ.** საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცოდნა.

**("ვ", "ზ" და "თ" პუნქტებში მითითებული კანონმდებლობის ცოდნა კანდიდატს მოეთხოვება სტაჟირების განაცხადში მითითებული სპეციალიზაციის გათვალისწინებით).**

დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, უნდა შეავსონ განაცხადის ბლანკი. განაცხადის ბლანკი გაიცემა თბილისის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო სამდივნოს მიერ. **(მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, XII კმ. N6, ტ: 54-10-63(105); 877 28-35-14).**

ასევე, კონკურსის პირობები და განაცხადის ბლანკი იხილეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდზე (www.tcc.gov.ge).

დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება განცხადების გამოქვეყნებიდან 2 კვირის ვადით. საბუთები მიიღება 2009 წლის 7-დან 19 სექტემბრამდე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.
კონკურსი გაიმართება გასაუბრების ფორმით, 2009 წლის 28 სექტემბრიდან, 10 საათიდან.

## განაცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

სსიპ ვარკეთილის საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს ბუფეტის ფუნქციონირებისათვის

სკოლის შენობის ფართის იჯარით გაცემაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს

კონკურსის ორგანიზატორი - სსიპ ვარკეთილის სკოლა.

ონკურსის მიზანი - ბუფეტის ფუნქციონირება

საშუალება - სკოლის კუთვნილი 60 კვ.მ ფართის იჯარით გაცემა

იჯარის ვადა - 2 წელი (შესაძლებელია ვადის გაგრძელება)

აუცილებელი პირობები:
- სკოლის კონტიგენტისათვის შესაფერისი მენიუს მომზადება
- დაბალი ფასები
- ხარისხიანი პროდუქტის შემოტანა და მომზადება
- დაცული უნდა იყოს საკვებად ვარგისიანობის ვადები
- იჯარით აღებული ქონების გაფრთხილება
- საიჯარო გადასახადის ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში
- მის მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების დროული გადახდა
- მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება გადაკეთების და რეკონსტრუქციების გარეშე
- სახანძრო უსაფრთხოების, ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღების შესახებ; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; 3. გადამხდელის მოწმობის ასლი; 4. ამონაწერის სამეწარმეო რეესტრიდან; 5. ცნობა საგადასახადო ორგანოდან დავალიანების არქონის შესახებ; 6. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საბანკო ანგარიშების შესახებ 7. მისი საქმიანობის მოკლე დახასიათება; 8. პროგრამა მენიუსა და ფასების შესახებ; 9. შეგიძლიათ წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია.
- განცხადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 10 სექტემბერი
- განცხადებების მიღება იწარმოებს:
- მისამართი: ისანი-სამგორის რაიონი, სოფ. ვარკეთილის საჯარო სკოლა.
- დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონებზე:
- 73 85 51; 899 415-587

## განცხადება ხელახალ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2009 წლის 19 ივნისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ტენდერში (ნაპირსამაგრი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა) გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაციები:

ლოტი N1 (ჩოხატაურის რაიონი, მდ. სუფსის მარჯვენა ნაპირის გამაგრება) შპს სკ "მამისონი" - ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4-17 06.08.09, სახელშეკრულებო ღირებულებით 215156,1 ლარი.

ლოტი N3 (ვანის რაიონი მდ. რიონის მარცხენა ნაპირის დაცვა სოფელ ჭყვიშში, გალაქტიონ ტაბიძის სახლმუზეუმთან) შპს "ოხომირა 2009".- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4-16 06.08.09, სახელშეკრულებო ღირებულებით - 331747 ლარი.

ლოტი N4; (ქ. ოზურგეთი მდ. სკუნჩას ნაპირების გამაგრება) შპს სკ "მამისონი"- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N4-18 06.08.09, სახელშეკრულებო ღირებულებით - 431975 ლარი.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის საწარმოს შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **სანტექნიკური ნაწარმის** შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერი დაყოფილია 11 ლოტად. შესყიდვის ობიექტის კონკრეტულ ჩამონათვალს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2.
2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;
**3. საქონლის მიწოდება სასურველია განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მიწოდების გრაფიკის შესაბამისად.**
4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 100 (ასი) ლარის ოდენობის **ტენდერში მონაწილეობის საფასურის** გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში, განცხადების გამოქვეყნებიდან - 14 სექტემბრის 11 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.
ტენდერში მონაწილეობის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:
სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 14 სექტემბრის 11 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.
6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით.
7. ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.
8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**
• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ;
• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

**ფიზიკურ პირთათვის:**
• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
• სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
• ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2009 წლის 14 სექტემბრის 11 საათამდე, არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: გიორგი ჩილვინაძე, ინგა ხვედელიძე ტელ: +995 32 935050; +995 32 357777 შიდა 1601, 1602, 1603, 1604, 1605. მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია".

**სატენდერო კომისია, 3 სექტემბერი 2009 წელი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2009 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის „უმაღლესი საგანამანათლებლო/კვლევითი პროგრამის" („კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლა") დაფინანსების ფარგლებში აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში მდებარე უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული კორპუსის მეოთხე სართულის სრული, მესამე სართულის ნაწილობრივი, კიბის უჯრედისა და ცენტრალური შემოსასვლელის რეაბილიტაციის სამუშაობის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი –** რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა.

| ლოტი № | ქალაქი | ობიექტის დასახელება | სამუშაოს აღწერა | დასრულების ვადა |
|---|---|---|---|---|
| I | ქ. თბილისი | ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5 | მეოთხე სართულის სრული, მესამე სართულის ნაწილობრივი, კიბის უჯრედისა და ცენტრალური შემოსასვლელის რეაბილიტაცია | **არაუგვიანეს 2009 წლის 10 დეკემბრისა** |

**– ხარჯთაღრიცხვებში ცალკე პუნქტად უნდა იყოს წარმოდგენილი გაუთვალისწინებელი ხარჯი, არაუმცირეს 2%-ისა.**

**დაფინანსების წყარო** – სახელმწიფო ბიუჯეტი

– სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა გამოქვეყნების დღიდან – 2009 წლის 3 სექტემბრიდან – ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის – 200 (ორასი) ლარი – გადახდის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 23 სექტემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე:
სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5. მე-2 სართული, ოთახი №237, სატენდერო კომისიის აპარატი.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ შემდეგ რეკვიზიტებზე:

სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი – 220101222;
ანგ/ანგარიში – 200122900;
საიდენტიფიკაციო კოდი – 206160606;
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – 300773174.

საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტენდერი №12.

– დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები (ხარჯთაღრიცხვა) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), 2009 წლის 24 სექტემბრის 10 საათიდან 2009 წლის 24 სექტემბრის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5, ოთახი №237, სატენდერო კომისიის აპარატი.

– წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 24 სექტემბრის 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში, მე-3 სართული, ოთახი №349.

– პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება (ალტერნატიული წინადადება არ დაიშვება)

– დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

– საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
**იურიდიული პირისათვის:**
**ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)** („სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).
**ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან** („სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).
**გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის ან რეაბილიტაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან)** („სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).
**დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან)** („სახელმწიფო შესყიდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).
**ე) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის).**

**ფიზიკური პირისათვის:**
**ა) საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის);**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**
**ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;**
**ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;**
გ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების (სამშენებლო ან სარემონტო) შესახებ.

**– საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე კომპანიების სუბკონტრაქტორებზეც;**

– სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე.

– სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას და ხელშეკრულების უზრუნველყოფის 5%-იანი საბანკო გარანტია, რომელიც ასევე 30 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

– იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

– სატენდერო წინადადებების შეფასებას სატენდერო კომისია განახორციელებს შეფასების დამატებითი, განსხვავებული მეთოდით

– ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

– სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლი-ათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5, მე-2 სართული, საკონტაქტო პირები ოთახი №237 შალვა ჯულაყიძე (ტელ: 877 50 74 54) და ვასილ გაგნიძე (ტელ 877 55 69 69).


თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

SLT - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80



ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა !
თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და
საშვილოსნოს ავთვისებიანი
სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს" მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**

## დაზუსტება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 01 სექტემბერს, გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სატენდერო მოწვევაში, რომელიც ეხება E-60 ავტომაგისტრალზე რიკოთის გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერს, კონტრაქტი N FEWHIP AF/CW/ICB-01, შევიდა ცვლილება, კერძოდ პირდაპირი გადარიცხვა ანგარიშზე ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

*ხაზინის ერთიანი ანგარიში*
*სალარე ანგარიშის N 200 122 900*
*სავალუტე ანგარიშის N 001 189 362*
*მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა*
*ბანკის კოდი: N 220 101 222*
*საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800*
*გადასახადის დანიშნულება: **სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის** (მიუთითეთ ობიექტის დასახელება)*

სატნდერო კომისია
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

## Clarification

Correction has been made to the Procurement Notice published in the local newspaper "24 hours" by the Roads Department of Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia on 01 September 2009, which refers to the procurement of works for the rehabilitation of Rikoti tunnel on the E-60 Highway, contract N: FEWHIP AF/CW/ICB-01

Account should be set as follows:

Name of the recipient: Treasury Account
Account in Georgian Lari: 200 122 900
Account in International Currencies: 011 189 362
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: 220 101 222
Budget Income Treasure Code: 302 007 800

Tender Commission
Roads Department of Georgia

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**ცვლილება მოწვევაში ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე**

**აზიის განვითარების ბანკის სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში,**

